


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმეში, ბედობიერ ბეჭდ-
უძი სიფყვას, ფედილობით და ჭებობით ბუბ-
თის გაფანა ყველა უკადრისმბაჟ უსამაგლესია.

მ.წ.

შაბათი, 28 იანვარი. 2017 წ. №20-21 (8157-8158), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

**ვისას „სუსტი“
გული აქვს,
არ ნაიკითხოს!**

**საქართველოს
ლიბერალსებო,
„დიღუკეთ“,**



**ბრავო მოიღაა! ②
ბრავო მოიღაა!**

**სახელმწიფო
და მმართველი გუნდი
რატომ არ იქმნება
თანამოაზრეთა ერთობა
და რა გედი ელის
კვირიკაშვილს?!**

გიორგი კვირიკაშვილს გიორგი გახარიათი შეც-
ვლიან თუ კახი კახიშვილით, ჩვენთვის ამას არ-
სებითი მნიშვნელობა არ ექნება – ქვეყანა ისევ იმ
უკვე დამყაყებული გზით (სისტემით) ივლის, რო-
მელი გზაც (სისტემაც) „ქართულმა ოცნებამ“ „ნა-
ციონალებისგან“ მემკვიდრეობით მიიღო.

**ბრალის წარდგენა მესპერტიშვილის
დასრულების შემდეგაა შესაძლებელი**

**აფხაზეთი
ენერგეტიკულად
რუსეთზე
დამოკიდებული
არ უნდა
გავხადოთ! ④**


განგაუი!

**მოგაკვდავი
სარკინიგზო
ტრანზიტის
ქრონიკა**

ჩძარა! ჩძარა!

**პარლამენტთან
ერთად, თბილისში
საკონსტიტუციო
სამმართველოს
გადმოტანას იგეგმება**

პარლამენტთან ერთად თბილისში საკონ-
სტიტუციო სასამართლოს გადმოტანაც იგეგ-
მება. ეს საკითხი გუშინ საკონსტიტუციო კო-
მისიის დახუ-
რულ სხდომა-
ზე დაისვა. რო-
გორც „ჯი-ვი-
ენს“ სხდომა-
დან აცნობეს,
პარლამენტის



თბილისში გადმოტანის საკითხი უკვე გადაწყ-
ვეტილია და კონსტიტუციაში შესაბამისი
ცვლილების შეტანისას, ინიციატივის ავტო-
რებმა საკონსტიტუციო სასამართლოს გად-
მოტანის საკითხიც დააყენეს.

როგორც დახურულ სხდომაზე აღინიშნა,
საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას, სა-
კონსტიტუციო კომისიის შემდეგ სხდომაზე
მიიღებენ.

**2019: „წინანდლის
ფესტივალის“
მოლოდინში ②0**



**რა უწინასწარმეტველა
მედია ამირანაშვილს**



**⑥ სანდრო
ინაშვილმა**

მიქტორ დოლიძე: ნატოს მომავალ სამიტში საქართველო მონაწილეობას არ მიიღებს



სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ვიცტორ დოლიძე აცხადებს, რომ ნატოს მომავალ სამიტში საქართველო მონაწილეობას ალბათ არ მიიღებს, ვინაიდან ეს სამიტი ნაკლებად მასშტაბური იქნება და ტრამპი-ნატოს გაცნობითი ხასიათის სამიტი იქნება.

„პირველ რიგში მკითხველს მინდა ვუთხრა, რომ ეს სამიტი არ იქნება გაფართოების სამიტი. ეს გენმდივანმა სტოლტენბერგმა უკვე მითხრა. ამაზე დაინწყება ბევრი პოპულიზმი ქვეყანაში. ოპოზიციის მხრიდან, რომ არ გმონაწილეობთ, არ დაგვპატიჟეს და ა.შ. ეს იქნება ნაკლებად მასშტაბური, გაცნობითი სამიტი. ენ. ტრამპი-ნატოს სამიტი. ეს იქნება შიდა ნატოს სამიტი, ჯერჯერობით მისი გამართვის თარიღიც კი არ არის დადგენილი. თუმცა, ჩვენ უკვე დავინწყეთ მუშაობა, მათ შორის მოკავშირეებთან, რომ სამიტის ფარგლებში საქართველო დღის წესრიგში იყოს. მონაწილეობას ალბათ არ მივიღებთ, მაგრამ ის, რომ ჩვენი საკითხი დღის წესრიგში იდგეს ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად, ამაზე ჩვენ დაწყებული გვაქვს მუშაობა.“

რაც შეეხება მაპ-ს, უელსის სამიტის შემდეგ ჩვენ გვაქვს შემოღებული შინაარსობრივად ძალიან კარგი პაკეტი. თუკი ნახავთ უელსისა და ვარშავის სამიტების საბოლოო კომუნიკებს, იქ პირდაპირ არის ჩანერილი, რომ ბუქარესტის სულისკვეთება გრძელდება და საქართველო დიას, გახდება ნატოს წევრი. ჯერჯერობით ასეა, რომ ყველა ქვეყანამ გაიარა სამოქმედო გეგმა, სანამ გადავიდოდა განცხადების პროცესზე. როგორ მოხდება ჩვენ შემთხვევაში, ამას უკვე დრო გვაჩვენებს“, — განაცხადა ვიცტორ დოლიძემ „აპარესთან“ ინტერვიუში.

შესაძლოა, პარლამენტის წევრის ჯგუფი მხვდეს ნაპირს ბარაშე დარჩეს

ნდობის ჯგუფში კვოტა, სადაც ერთი წევრის წარდგენის უფლება უმრავლესობისა და უმცირესობის გარეთ მყოფ დეპუტატებს აქვთ, შესაძლოა, პარლამენტში ერთგვარ გაუგებრობად იქცეს.

ენმ-ის გაყოფამდე, უმრავლესობისა და უმცირესობის გარეთ მხოლოდ შვიდი დეპუტატი იყვნენ: 6-კაციანი ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრები და მთაწმინდის მაჟორიტარი სალომე ზურაბიშვილი. ნდობის ჯგუფში საკუთარი კანდიდატურის დასახელების უფლება ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ და უმცირესობის გარეთ მყოფ დეპუტატებს აქვთ, შესაძლოა, პარლამენტში ერთგვარ გაუგებრობად იქცეს.



ველოს პატრიოტებმა“ გამოიყენა და დეკემბრის ბოლოს, უმრავლესობისა და უმცირესობის გარეთ მყოფი მეტი დეპუტატის მხარდაჭერით, ირმა ინაშვილი წარადგინა. ამის შემდეგ უმრავლესობისა და უმცირესობის გარეთ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ ჩამოყალიბდა, რომელიც ასევე 6 დეპუტატისაგან შედგება და ნდობის ჯგუფში აღნიშნულ ერთ ადგილზე წევრის დასახელების უფლება მასაც აქვს. „ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, სავარაუდოდ, ეს სალომე სამადაშვილი იქნება.

ამ შემთხვევაში კი, თეორიულად, გადამწყვეტი სალომე ზურაბიშვილის პოზიცია იქნება. როგორც ცნობილია, ზურაბიშვილი არც ერთი კანდიდატისთვის მხარდაჭერას არ აპირებს. ასეთ შემთხვევაში კი, ნდობის ჯგუფს მესხეთე წევრი არ ეყოლება. პარლამენტის ნდობის ჯგუფი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სპეციალური პროგრამებისა და საიდუმლო საქმიანობის საბიუჯეტო კონტროლის მიზნით იქმნება.

საპარლამენტო უმცირესობამ საკუთარი კვოტით პარლამენტის ნდობის ჯგუფში ირაკლი აბესაძე დაასახელა. „ქართულ ოცნებას“ ამ დრომდე არ გადაუწყვეტია, თუ ვინ იქნება წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატებისა და უმრავლესობის კვოტით. არაოფიციალური ინფორმაციით, მაჟორიტარებიდან — არჩილ თალაკვაძის კანდიდატურა, ხოლო უმრავლესობის კვოტით გაი ბენაშვილის კანდიდატურა განიხილება.

ლევან პარპალიძემ აჭარის უმაღლესი საბჭო დატოვა

ამის შესახებ განცხადება ვარშალომიძემ თავად გააკეთა:

„ბევრი კითხვა ისმოდა, თუ როდის გავა ლევან ვარშალომიძე აჭარის უმაღლესი საბჭოდან? მე უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე დოკუმენტს ხელს ოფიციალურად ვაწერ. ეს განცხადება, უმაღლეს საბჭოში შევა, მაგრამ წევრობაზე უარი ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიქნებით აჭარაში ან ბათუმში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩემს ხალხს ვტოვებ. ჩვენი ადგილსამყოფელი არის პარტიის ოფისი, რომელიც ყველასთვის ღიაა. ჩემს გუნდთან ერთად აუცილებლად გავაგრძელებ ბრძოლას. გუშინ კანონმდებლობის დაცვით ავიღე დიპლომატიური პასპორტი, თუმცა დღეს ვაბარებ მას, ალბათ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე კარგად შეინახავს“, — განაცხადა ვარშალომიძემ.

რიმა ბარაშის ინიციატივით რეპრეზენტატიული კულტურული მემკვიდრეობის კვლევის რეპროდუქცია იწყება

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი წევრი რიმა ბერაძე რაიონის გამგებელთან ზურაბ ჩიკვალიძესთან და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელთან გიორგი ბაიდარაშვილთან ერთად წინამძღვრიშვილის ქუჩა №1-ის მცხოვრებ-



ლებს შეხვდა და აღნიშნულ მისამართზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების შესახებ ინფორმაცია მიანოდა.

წინამძღვრიშვილის ქ. №1-ში სამოცდაათი ოჯახი ცხოვრობს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, მოსახლეობა შენობის მიმდებარე უფლებამოსილების მიუხედავად, მის რეკონსტრუქციას საკუთარი ძალებით ვერ ახდენს.

რიმა ბერაძის შუამდგომლობით თბილისის განვითარების ფონდმა წინამძღვრიშვილის №1 იმ შენობების სიაში შეიტანა, რომელთა რეკონსტრუქცია 2017 წლის მანძილზე უნდა განხორციელდეს. მაჟორიტარის განმარტებით, შენობის სრული რეაბილიტაცია საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდეგ დაიწყება. 2017 წლის მანძილზე ჩუღურეთის რაიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე კიდევ რამდენიმე შენობის სრული რეაბილიტაციაა დაგეგმილი.

უკრაინის იუსტიციის მინისტრი:

დიდება უკრაინას!

დიდება საქართველოს!

უკრაინის იუსტიციის მინისტრი ქართველი ვიცე-პოლკოვნიკის გაი ცერცვაძის გათავისუფლებას „ფეისბუქის“, საკუთარ გვერდზე ეხმაურება. როგორც პავლო პეტრენკო წერს ის ცერცვაძის საქმეს და მის მდგომარეობას საპატიმროში, პირველივე წუთებიდან თვალყურს ადევნებდა.

„გულწრფელად მისარია, რომ ქართველი ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი ცერცვაძე თავისუფლებაზეა. ის ნამდვილი პატრიოტია, რომელიც იბრძოდა საკუთარი ქვეყნისთვის, იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას, და როგორც კი დონბასში დაიწყო საომარი მოქმედებები - უმაღლესი შემოუერთდა უკრაინის ხალხს და ეხმარებოდა თავისუფლებისთვის ბრძოლაში.“

დაკავების პირველივე წუთებიდან მე პირადად ვაკონტროლებდი ლუკინაშვილის წინასწარი დაკავების იზოლაციაში გიორგის მდგომარეობას.

უკრაინა არ ღალატობს თავისი ანებს! დიდება უკრაინას! დიდება საქართველოს! — წერს პეტრენკო.



მისაც „სუსტი“ გული აქვს, არ ნაიკითხოს!

„შოკი და თრთოლვა“ — ეს აშშ-ის მიერ ერაყში განხორციელებული მნიშვნელოვანი ოპერაციის კოდური სახელწოდებაა. ეს სახელწოდება ძალიან კარგად ასახავს იმ მდგომარეობას, როგორშიც საქართველოს „არასამთავრობო სექტორი“ აღმოჩნდა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდეგ. აღნიშნული „სექტორი“ ბოლო წლებში 99%-ით დაოსაიდებულია ფინანსდებოდა და, შესაბამისად, დონალდ ტრამპის განცხადებებმა ჯერ წინასაარჩევნო პერიოდში, შემდეგ კი უკვე ახალი ადმინისტრაციის მუშაობის პირველსავე დღეებში, ქართველი „ენჯელოზების“ დიდი ნაწილი პროსტრაციაში ჩააგდო.

როგორც „ვარდების რევოლუციამდე“, ასევე მის შემდეგაც ქართულ ტელევიზორებსა და პრესაში, ყველა სემინარზე, შეკრებებზე თუ კოლოკვიუმებზე საკითხების განხილვის დღის წესრიგს ბევრად განსაზღვრავდნენ ის ადამიანები, რომლებიც, ქართული საზოგადოების, საკმაოდ მაღალ და კარგ ხელფასებს იღებდნენ ასეთი სქემით — „აშშ-ის ბიუჯეტი - USAID-NED (National Endowment for Democracy - დემოკრატიის ეროვნული ფონდი) — აშშ-ის საელჩო თბილისში — ჯიბე“...

ტრამპის გაპრაზიზმებათა ქართულ „ენჯელოზებში“ „შოკი და თრთოლვის“ ეფექტი გამოიწვია

„შოკი და თრთოლვა“ რამდენიმე ტალღის სახით იმოქმედა: ამ დღეებში ტელეკომპანია „მაესტრომ“ ღია ეთერში გამოკითხვა ჩაატარა საქართველოს ნატოში განცხადების საკითხზე. აუდიტორიის 92% ინტეგრაციის წინააღმდეგ გამოვიდა და ეს იმ ფონზე, როცა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი (საკონსტიტუციო კომისიის) სთავაზობს — საქართველოს ძირითად კანონში ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი უნდა დაფიქსირდეს. ჩვენი კონსტიტუციები ისე სწრაფად ცვლიან, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე „ვენეციის კომისიის“ პრეზიდენტ ჯანი ბუკიკოსთან ამასწინააღმდეგ შეხვედრაზე (იძულებული გახდა, გაცხადებინა), რომ ამერიიდან ძირითად კანონში არაფერი შეიცვლება „ვენეციელების“ მოწოდების გარეშე.

ტელეარხი „მაესტრო“ რუსულ სერიალებს ხშირად აჩვენებს. ამ ფაქტის საფუძველზე გამოკითხვის შედეგები მედასავლეთეებმა სოციალურ ქსელებში ტელეარხის „გამყიდველობისა და ღალატის დონე“ გამოაცხადეს, თუმცა, რა-

საკვირველია, იმ ადამიანთა გვერდზე, რომლებმაც პულტზე ხელი დააჭირეს, ვლადიმერ პუტინი არ იდგა. ნიშანდობლივია, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა, რომელსაც ყოფილი სახელისუფლო პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ აკონტროლებს, პირდაპირ ეთერში ანალოგიური გამოკითხვის ჩატარება ვერ გახდოდა. შესაძლოა, შეცდომას თავი აარიდა — ვაითუ, ისე არ გამოვიდეს, როგორც გვინდაო. მახსენდება, რომ გაგანია ანტირუსული ისტერიის პერიოდში, როცა მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო, მოსახლეობის 80%, ყველანაირი გამოკითხვით, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებად მხარდაჭერას გამოხატავდა.

„შოკისა და თრთოლვის“ მეორე ტალღამ „არასამთავრობოებს“ მაშინ გადაუარა, როცა საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა ფრანსუა ფიონმა განცხადება გააკეთა — უკრაინისა და საქართველოს ნატო-ევროკავშირში განცხადებისასკენ სწრაფვა „დიდი უპასუხისმგებლობა არისო“. ბერესისთვის საქართველოში „ცა ჩამოინგრა“, ანუ ყველაფერი და-

იკარგა: გრანტები, საზღვარგარეთული სემინარები, უცხოური შეხვედრები... როგორ გადაიტანენ ამ სიტუაციას ქართული ასოები (არასამთავრობო ორგანიზაციები), ჯერჯერობით არავინ იცის. მაგრამ ყველა შემთხვევაში უკვე ისე ჩანს, რომ საქართველოში ფრენის ფუტუიამასებური „ისტერიის დასასრულის“ ეპოქა თუ არა, საკმაოდ უჩვეულო ეტაპის დასასრული მაინც დგება, როცა „დასავლური სექტორი“ უკვე აღარ არსებობს: დაიშალა „ნაციონალური მოძრაობა“, აღარ ჩანან „თავისუფალი დემოკრატები“, „რესპუბლიკელები“... ხოლო „არასამთავრობო სექტორი“ აშკარად კარგავს უმთავრეს სპონსორს. პერსპექტივა ბნელითა და გაურკვევლობითაა მოცული.

„ნებავისიძეა გაზეტაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ადრინდელ სტატიაში ვწერდი, რომ საქართველოში დასავლეთი კონცენტრირდება ჭორვილაში (ქვეყნის არაფორმალური ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მშობლიურ სოფელში), აღმოსავლეთი კი — თბილისში მდებარე მის ბიზნეს-ცენტრში, თანაც ისე, როგორც

ცნობილ სიმღერაშია — „ყველაფერი შენს ხელშია, ჩემი ჩათვლით“. მოკლედ, გაგრძელება იქნება, მაგრამ როგორი, ჯერჯერობით უცნობია.

ფაქტია, რომ საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობისადმი შეგუება და შეჩვევა მოუწევს. ქვეყანას მოუწევს თავის გადარჩენა და ისეთ ძალოვან ვექტორებზე კონცენტრირება, როგორებიცაა მოსკოვი-ერევანი, ანკარა-ბაქო... ოქტომბრის თვეში საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უნდა ჩატარდეს. პარტია „ქართული ოცნება“, რომელსაც პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, სავარაუდოდ, მუნიციპალურ არჩევნებში პოზიციებს არ დათმობს, მით უმეტეს, როცა მას კონკურენტები, პრაქტიკულად, არ ჰყავს. წინასაარჩევნო კამპანია, ალბათ, საკუთარ ჩრდილთან ბოქსირების რეჟიმში ჩაივლის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ არჩევნებამდე „მესამე გზის“ განმსაზღვრელი რომელიმე პარტია გამოჩნდება. რასაკვირველია, თუ მას თვითონ ბიძინა ივანიშვილი არ შექმნის. თუმცა ნიშნები იმისა, რომ მან უკვე გამოაცხადა ტენდერი ამ ნიშნის შევსება-დაკავებაზე, აშკარად ნათელია!

„ნებავისიძეა გაზეტა“

ერთმა ახლო მეგობარმა, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ პოლიტიკურ „ქორწინებაში“ არ ყოფილა, მაგრამ, არც თავ-გადაკლებული ოპონენტია, საიდუმლოდ გა-მანდო, რომ გაზაფხულზე საქართველოში ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდება!

მას არ დაუკონკრეტებია, რა იდეოლო-გიის მატარებელი იქნება ახალგამოჩევი-ლი პოლიტიკური ერთობა და რა ნიადაგ-ზე აღმოცენდება იგი, თუმცა, როგორც თვითონ მითხრა, ინფორმაცია ზუსტია და წყალი არ გაუვა...

„ინფორმატორმა“ არც ის დამიმალა, რომ მალე კვირიკაშვილის მთავრობას გა-დააყენებენ და მის ადგილზე გიორგი გა-ხარიას უმიზნებენო. მისი ინფორმაციით, თურმე, პრემიერის თანამდებობაზე კახი კახიშვილიც მოიაზრება, მაგრამ, მისი თქმით, სათუთა, რადგან, კახიშვილი ნაკ-ლებად მართული ჩინოვნიკია და არჩევანს მაინც გახარიაზე გააკეთებენო. მიზეზი, კვირიკაშვილის ბოლოდროინდელი გან-ცხადებები და ინიციატივები ყოფილა, რომელიც, თურმე, ხალხს არ მოსწონს.

გაოცდები პირდაპირ: თუ პრემიერ-მი-ნისტრის გადაყენებაზე საუბარი, რანა-ირად ჯდება ლოგიკაში მისი მთავრობის რომელიმე წევრის გაპრემიერება ან საერ-თოდ, რა აზრი აქვს პიროვნებების ცვლას სისტემური ცვლილების გარეშე?!

ამით იმის თქმას არ ვაპირებ, რომ პი-როვნების როლი სახელმწიფოს მართვა-ში არსებითი არ არის, მაგრამ, მისი მოქ-ნილობა, პრინციპულობა და ნოვატორუ-ლი მიდგომები აუცილებლად ჯანსაღ სა-ხელმწიფო სისტემას უნდა ეყრდნობოდეს!

მე პატივს ვცემ ბატონ კახი კახიშვილს, როგორც პენიტენციური სისტემის წარ-მატებულ ხელმძღვანელს, მაგრამ, ვფიქრობ, მისი გამოცდილება და საქმიანი თვისებე-ბი საკმარისი არ იქნება სახელმწიფოს მარ-თვაში ძირეული გარდატეხის შესატანად.

საქმე ისაა, რომ არაეფექტურ მმართ-ველ კლანზე მორგებული სახელმწიფო სისტემა, რომელიც თავის მხრივ არაფორ-მალურ მმართველობასთანაა შეზავებული, პიროვნების როლს არსებითად გამო-რიცხავს.

დიას, ხელისუფლების არაეფექტურობა არა იმდენად პრემიერ-მინისტრების უუნა-რობაშია, რამდენადაც არსებული სისტე-მის არასახელმწიფოებრივ ხასიათში. ჩვენ არ მოგვწონდა ის პოლიტიკური სისტე-მა, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ეყრ-დნობოდა, მაგრამ არც იმაზე გვექონია რე-აქცია, თუ როგორ მოირგო ჩოხასავით დღევანდელმა მმართველმა უმრავლესობამ ეს სისტემა და როგორ ნებეირობს იგი სა-ზოგადოების უდიდესი ნაწილის გაღატა-კების ხარჯზე.

ვაკონკრეტებ: შეიცვალა რეჟიმი, მაგ-რამ არ შეცვლილა პოლიტიკური სისტე-მა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით დღევან-დელი ხელისუფლების მხრიდან არც შეც-ვლის პოლიტიკური ნება არსებობს. ეს კი იმის ბრალია, რომ საზოგადოების მხრი-დან ამაზე დაკვეთა არ ყოფილა.


მთავრობების შეცვლა, მისთვის დამა-ხასიათებელი კარუსელებით, მხოლოდ სა-ზოგადოების თვალის ახვევას ემსახურება და მანამ გაგრძელდება, სანამ ამაზე ჩვენი მხრიდან სათანადო რეაქცია არ იქნება!

ერთი სიტყვით, გიორგი კვირიკაშვილს გიორგი გახარიათი შეცვლიან თუ კახი კა-ხიშვილით, ჩვენთვის ამას არსებითი მნიშ-ნელობა არ ექნება – ქვეყანა ისევ იმ უკვე დამ-ყავებული გზით (სისტემით) ივლის, რომელ-ღი გზაც (სისტემაც) „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალებისგან“ მეტყველებით მიიღო.

რაც შეეხება გაზაფხულზე „ახალი ძალის“ აზვირთებას, ვფიქრობ, ესეც წყლის ნაყვა და ახალი ორთქლის გამოშ-ვება იქნება, რადგან, განსხვავებული პო-ლიტიკური პლატფორმის ერთობას ჯერ-ჯერობით ვერ ვხედავ. სატელიტები და „ძველი-ახალი“ სახეები კი მხოლოდ სა-ზოგადოებაში ცრუ მოლოდინის მისიას შეასრულებენ.

რატომ გვიჭირს თანამოაზრეთა გუნდის შექმნა?!

ჰერაპონ დამიმტკიცებს, რომ დღემ-დე არსებული პოლიტიკური პარტიები თანამოაზრეობის პრინციპით იქმნებოდ-ნენ და იქმნებიან. უდავოა, რომ მათ არა პოლიტიკური იდეოლოგია, არა სახელმ-



რატომ არ იქმნება თანამოაზრეთა ერთობა და რა ბაღი ელის კვირიკაშვილს?!

გიორგი კვირიკაშვილს გიორგი გა-ხარიათი შეცვლიან თუ კახი კახიშ-ვილით, ჩვენთვის ამას არსებითი მნიშ-ნელობა არ ექნება – ქვეყანა ისევ იმ უკვე დამყავებული გზით (სისტე-მით) ივლის, რომელი გზაც (სისტე-მაც) „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციო-ნალებისგან“ მეტყველებით მიიღო.

წიფოს სამსახურში ჩადგომა და რეალო-ბის უკეთურობისკენ შეცვლის სურვილი, არამედ, მაქსიმალური კომფორტის უზ-რუნველყოფისა და სახელმწიფოს ხარჯზე გაღატაკების დაცხადების სურვილი ამოძრავებთ.

სწორედ ამის შედეგია მარიონეტების ცვენა ხელისუფლების ყველა იერარქია-ში – ისინი ყველაფერზე მოაწერენ ხელს (მათ შორის საქართველოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების გაყიდვაზე), ოღონდ, პრივილეგიები შეინარჩუნონ. მა-თი წყალობით ქვეყანაში სიტუაცია არა-თუ იცვლება, პირიქით, უფრო და უფრო მძიმდება კიდევ.

სოციალურ ქსელში არ წყდება მონო-დებები ჯანსაღი ძალების გაერთიანების აუცილებლობაზე. აქა-იქ „შენიშნულთა“ თუ „შეფიცულთა“ სილუეტებიც გამოკრ-თებიან ხოლმე, მაგრამ, როგორც გამოკ-რთებიან, ისევე უცებ ჩაქრებიან...

მიზეზი მარტივია: ზოგს მხოლოდ ენა ეფხანება, თავს გვაჩვენებს – მზად ვარ, რი-გით ჯარისკაცად ჩავეწერო სამშობლოს უკეთესი მომავლის მეტრძოლთა რიგებში, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, უმაღ-

ბუჩქებში დაიმალება – შარში გახვევა და რაც აქვს, იმის დაკარგვაც არ სურს!

ბევრს თავგანწირვის უნარი არა აქვს. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ დღეს მართვის ახალი, სახელმწიფოს ინტერესებს მორგებული სტანდარტების დამკვიდრებაზე ფიქრიც კი თავგანწირ-ვის ტოლფასია.

როგორც ერთმა მეგობარმა პუბლი-ცისტმა მითხრა, მთელი თავით და არსებით უნდა ჩაერთო იმ საქმეში, რასაც საქართველოს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლა ჰქვია, სხვანაირად, მიზანს ვერ მიაღწევ.

არიან ადამიანები (განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლები), რომლებსაც კარგად ესმით, რა უნდა შე-იცვალოს და როგორ შეიცვალოს, მაგრამ საკუთარი წარსული იმდენად ამძიმებთ, რომ ბოლო მომენტში მაინც გაჩუმებას ამ-ჯობინებენ.

მთავარი და უმთავრესი: სანთლით რომ ეძებო, თანამოაზრეებს ვერ იპოვი, არა-და, სოციალურ ქსელში ისე ყელყელაო-ბენ, ისეთი პატრიოტული გრძნობებით „იღვრებიან“, გეგონება, საქართველო ლა-

მისაა გაბრწყინდეს და ყველა უბედურე-ბა წარსულს ჩავაბაროთ!

სოციალური ქსელით თუ ვიმსჯე-ლებთ (ეს დღეს საზოგადოების ბარო-მეტრია), ყველას უკანასკნელ ამოსუნთ-ქვამდე უყვარს ქვეყანა, ყველა მზადაა, საქართველოს „თავშენიშნულთა ლაშ-ქარში“ გაწვერიანდეს, მაგრამ, თუ მო-იკითხავ, ორ თანამოაზრეს ვერ იპოვი. მე ნაღდ პატრიოტებს ვგულისხმობ, რომ-ლებიც მზად არიან, სიტყვას საქმე მოა-ყოლონ, თორემ, ფორმალურად იმდენი „ტუფტა“ გაერთიანებები იქმნება და იმ-დენ შემოთავაზებებს ვღებულობ... სი-ნამდვილეში კი არანაირი მოქმედების გეგმა, არანაირი არსებულისგან განსხ-ვავებული იდეოლოგია

ნიშანდობლივია ისიც, რომ საზოგა-დოების ყველაზე დიდი მტერია ზერელო-ბა და არათანმიმდევრულობა. როგორც ზემოთ ვთქვი, ხანდახან ისე „გავიბერე-ბით“, ისეთ აუიოტაჟს შევქმნით, თითქოს სიო გრიგალად უნდა იქცეს, მაგრამ სულ მოკლე დროში სიოც მინელდება და ჩვენც გასაბერი ბუშტივით ვიფუშვებით...

ფაქტია, ვიდრე ამ ორი „ბაცილისგან“ არ განვიკურნებით, ყოველთვის ცარიელი მუშტის ქნევის ამპლუაში დავრჩებით.

რაც შეეხება ზერელობას, მრავალგზის დავასკვნი, რომ ჩვენ სიღრმეებში ჩასვ-ლა გვიჭირს და ყოველთვის ზედაპირზე ვტივტივებთ. თუ ადრე სწორუპოვარი მეცნიერებით (აქ სხვა სფეროს წარმომად-გენლებიც იგულისხმებიან) და ქართული ინტელექტით ობიექტურად თავს ვიწონებ-დით, დღეს ეს ქიმერად იქცა. ფუნდამენ-ტური განათლება ზერელობაშ შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ კონვეიერული სისტემით ცხვებიან დოქტორები და ე.წ. აკადემიკოსები, მათ ნაშრომებში კვლე-ვის კონტურებიც არ ჩანს!

ამით იმის თქმა მინდა, რომ ქვეყანას არა მარტო თვითმარქვია პოლიტიკოსე-ბის, არამედ, ზოგადად, პროფესიონალთა პრობლემაც აქვს. პროფესიონალიზმის გა-რეშე კი ნორმალურ (თუნდაც ამაზე უკე-თესს) ქვეყანას ვერ ავაშენებთ.

ახლა კი ერთ ნიუანსზე მინდა გავამახ-ვილო ყურადღება:

ხშირად მსაყვედურობენ, რომ მხო-ლოდ პრობლემებზე ვწერ და ამის იქით არ მივდივარ. არა, ბატონებო: არც უმა-გისობაა, მაგრამ ჩემი ცდა იმდენად უნუ-გემო აღმოჩნდა, ლამისაა, ხელი ყველა-ფერზე ჩავიქნიო...

ვითყვი პირდაპირ: ვისაც ქართველო-ბაზე და საქართველოს უკეთეს მომავალზე აქვს პრეტენზია, ზოგი ალთასა და ზო-გიც ბალთას – გაგისმართიათ, ზოგადად ისე გაილექსებიან, თქვენი მოწონებული, მაგ-რამ, როცა საქმე კონკრეტიკაზე მიდგება, ყველაფერი ყირაზე დადგება.

ეტყობა, ესეც ჩვენი ხასიათის ერთ-ერთი გამოკვეთილი შტრისია, ან უბრალოდ, ჩვე-ნი ჯვარია, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ვატარებთ (თუ ვინმე სხვანაირად ფიქრობს, მივიღებ ყველა შენიშვნას თუ რე-კომენდაციას, ოღონდ, არგუმენტირებულს).

ასე რომ, როგორც ქუსს, ისე არ ვიგმის, ბატონებო და ქალბატონებო – ჩვენ „გვიყ-ვარს“ ჩვენი ქვეყანა,

მაგრამ, არაფერს ვა-კეთებთ, რომ იგი აც-დენილი რელიეფიდან უკან დავაბრუნოთ.

მწარე სიმათ-ლეა, მაგრამ, რას ვი-ზამთ, თვალი უნდა გავუწნოთ!!

ზაურ ნაჭყავია



ბრალის ნარდგენა ექსპერტიზების დასრულების შემდეგაა შესაძლებელი

„მიმდინარე წლის 24 იანვარს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირე-ბით, გამოძიება სსკ-ს 276-ე მუხლის მე-1 ნაწილით დაიწყო.

გამოძიების ფარგლებში, და-ინიშნა ტრასოლოგიური, ავტო-ტექნიკური და სასამართლო-სა-მედიცინო ექსპერტიზები, რო-მელთა დასკვნების საფუძველზე, საგამოძიებო ორგანოს ექნება მტკიცებულებათა ერთობლიო-ბა, რათა ავტოსაგზაო შემთხვე-ვაში დამნაშავე პირის მიმართ განხორციელდეს კანონის შესა-



ბამისი ღონისძიებები. რაც შეეხება ავტოსაგზაო შემთხვევაში მონა-წილე სამივე მძღოლს, მომხდართან დაკავშირებით ისინი პოლიციის მიერ მოწმის სახით გამოიკითხნენ.

საზოგადოების ინფორმირებისთვის კიდევ ერთხელ განემარტავთ, რომ, კანონის თანახმად, ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალეული პირის გამოკვეთა და მისთვის ბრალის წარდგენა მხო-ლოდ შესაბამისი ექსპერტიზების დასრულების შემდეგაა შესაძლებელი.

შს სამინისტრო მიმართავს მაქსიმალურ ძალისხმევას, რომ აღნიშნული საქმე დროუ-ლად იქნას გამოძიებული და დამნაშავე წარდ-გეს მართლმსაჯულების წინაშე“.

„აფხაზეთის ელექტროენერგია რუსეთშია მიანდოდა“, — ცალკეულ ქართველ ენერგეტიკოსთა ამ ფრაზამ დაბნეულობა გამოიწვია. კითხვები გაჩნდა იმ კუთხითაც, ხომ არ ნიშნავს ეს რუსეთისთვის აფხაზეთის ნებაყოფლობით დათმობას? მართალია, უკვე წლებია, აფხაზები ენგურჰესიდან გამომდინარე ელექტროენერგიას უფასოდ მოიხმარენ, მაგრამ ხომ არ ღირს ასეთ კომპრომისზე ქართული მხარის წასვლა მშობლიურ ქვეყანაში, როცა საქმე იმ ტერიტორიას ეხება, რომელზეც საქართველოს იურიდიული გავლენა დროებით დაკარგულია?

1998 წელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და დე ფაქტო აფხაზეთის მთავრობას შორის სიტყვიერი მოლაპარაკება შედგა, რომლის თანახმადაც, ენგურჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგიის 40% აფხაზეთს უნდა წაეღო, 60% — საქართველოს. დღეს კითხვები ჩნდება იმასთან დაკავშირებით, რატომ დავთანხმდით აფხაზებს 40 %-ის უსასყიდლოდ დათმობაზე მაშინ, როცა მათ რეალურად გამომუშავებული ენერგიის მხოლოდ 20 % ეკუთვნოდათ? ამ დროს კი აფხაზებს ზამთარში ენგურჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგიის 100% მიუღიათ, ზაფხულში კი 15-20%. თანაც, აფხაზებს ავინწყდებოდათ, რომ ელექტროენერგიის მოხმარება ფული ღირს და თანხა უნდა გადაიხადონ. მით უმეტეს, რომ აფხაზები ელექტროენერგიას უკონტროლოდ გამოგულუხვად მოიხმარენ და ელექტროენერგიის მოხმარება 55%-ით აქვთ გაზრდილი.

თავის დროზე დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიძეს განცხადებამ, რომ ენგურჰესის ის ნაწილი, რომელიც დე ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, აფხაზ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, ქართველი ექსპერტები დააფიქრა. ისინი აფხაზების მიერ ენგურჰესის შესაძლო გათიშვის საფრთხეზეც საუბრობდნენ.

იმ პერიოდში ენერგეტიკოსი **რეზა აკაძე** 1996-97 წლებს იხსენებდა, როცა აფხაზეთმა წამოაყენა საკითხი, რომ ნაიდან სამანქანო დარბაზი და ენგურჰესის მართვის ფარი საბერიოში (გალის რაიონი) მდებარეობდა და ეს დაახლოებით მთელი ელექტროსადგურის ძირითადი ფონდების 40%-ს შეადგენდა,



აფხაზეთი ენერგეტიკულად რუსეთშია დაბოკიდებული არ უნდა გახადოს!

ელექტროენერგიის 40 % აფხაზეთს ეკუთვნოდა, ხოლო 60% — საქართველოს. რევაზ არველაძე მიიჩნევდა, რომ ეს არასწორად იყო ნაანგარიშები, რადგან ასეთი ანგარიში ბუნებაში არ არსებობდა. მით უმეტეს, ენგურჰესი ერთი ელექტროსადგური გახლდათ და არ შეიძლებოდა მისი ცალკეულ დაყოფა, რომ ერთი ნაწილი აფხაზეთის ყოფილიყო, ხოლო მეორე — საქართველოსი.

„ენგურჰესი ერთიანად ეკუთვნის საქართველოს. ცუდად ნუ გამოგებენ ჩვენი მონათესავე აფხაზები, მაგრამ ენგურჰესის მშენებლობაში აფხაზებს საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა. ეს სადგური შენდებოდა მთლიანად საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ბიუჯეტით, რადგან, რაც საქართველოდან ქონების სახით მიდიოდა რუსეთის ცენტრალურ ხაზინაში, იქიდანვე მოდიოდა უკან ენერგეტიკის სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხით. მართვის ფარი საბერიოში იმითმ აშენდა, რომ ეს სქემა ყველაზე კარგი იყო ენერგეტიკული ტექნიკური თვალსაზრისით“, — აცხადებდა რევაზ არველაძე და არ გამოირიცხავდა აფხაზების სურვილს, ენგურჰესის გაცილებით მეტი ნაწილი ჩაეგდოთ ხელში, რათა შემდეგ უკვე ჩვენთვის მოეყიდათ ელექტროენერგია. აფხაზებს ისიც შეეძლოთ, საქართველოსკენ არ გამოეშვათ გამომუშავებული ელექტროენერგია. თუმცა ენერგეტიკოსის აზრით, ასეთ სი-

სულელეზე აფხაზები არ წავიდოდნენ, რადგან მაშინ საერთოდ გაჩერდებოდა ენგურჰესი, რომელიც აფხაზებს 100%-ით აკმაყოფილებდა, სხვა ელექტროსადგური კი მათ არ გააჩნდათ.

დღეს რევაზ არველაძე მიიჩნევს, რომ, პირველ რიგში, აფხაზებმა მოლაპარაკება უნდა აწარმოონ რუსეთთან, რადგან ისინი წლებია, ელექტროენერგიას უფასოდ იღებენ საქართველოსგან. ზამთარში ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ენერგია მთლიანად აფხაზებს მიუღიათ. ამას ემატება ისიც, რომ დღესდღეობით აუცილებელია ენგურჰესის გაჩერება, რათა სპეციალისტებმა მისი რეაბილიტაცია განახორციელონ. თავდაპირველად ენგურჰესი სამი კვირით გაჩერდება, ხოლო 2018 წელს — 3 თვით. სწორედ ამ პერიოდში აფხაზებმა მოლაპარაკება უნდა აწარმოონ რუსეთთან, რომ ენერგია მათგან მიიღონ. მაგალითად, შარშან გაზაფხულზე, როცა ენგურჰესის წყალსაცავი დაცლილი იყო, საქართველომ სწორედ რუსეთისგან იყიდა ელექტროენერგია და ასე მიაწოდა აფხაზებს, მაგრამ თანხა აფხაზებს მაშინაც არ გადაუხდიათ.

„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, დეპუტატი **ბია ბაჩჩილაძე** ამბობს, რომ ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებით რუსეთ-აფხაზეთის მოლაპარაკება ჩვენითვის არანაირად არ არის მიზანშეწონილი. ექსპერტებმა

უნდა იცოდნენ, რომ, მართალია, წყალსაცავი ჩვენს მხარესაა, მაგრამ თვითონ სადგურები, რომლებიც ელექტროენერგიას გამომუშავებენ, გალის რაიონშია. ამიტომ აფხაზებთან გარკვეული შეთანხმება იმთავითვე არსებობდა გამომუშავებული ელექტროენერგიის განაწილებასთან დაკავშირებით. დღესაც, თუ ენგურჰესის ირგვლივ ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგი შედგება, ძალიან კარგი იქნება.

„გარკვეულწილად, ეს იქნება იმ დიალოგის დაწყების პროვოცირება, რომელიც ქართველებს ასე გვსურს, ჩვენს მოქალაქეებთან — აფხაზებთან შედგეს. თუმცა ეს არ იქნება მარტივი საკითხი. ჯობს, ცოტა ხანს მოვითმინოთ კიდევ, რომ არ გავამწვავოთ სიტუაცია და რუსეთს არ მივცეთ კიდევ ერთი ბერკეტი აფხაზებზე ზეწოლისთვის, ანუ კიდევ უფრო მეტად რუსეთზე დამოკიდებული არ გავხადოთ აფხაზეთი. ეს პოლიტიკური საკითხია და სახელმწიფომ ამ საკითხზე კომპრომისი უნდა დაუშვას“, — აღნიშნა ბია ბაჩჩილაძე.

მანვე არ გამოირიცხა, რომ აფხაზებთან კიდევ უფრო დასაახლოებლად რუსებმა შესაძლოა, მთლად უფასოდ არ


მისცენ ელექტროენერგია, მაგრამ ნაკლებ ფასად მისცენ, რაც მათთვის პოლიტიკურად მისაღები იქნება. შესაძლოა, რუსებმა დამატებითი საკითხებიც ჩართონ ამ შეთანხმებაში, რაც საზიანო იქნება ქართველებისთვის. ამიტომ დიალოგი უნდა დაიწყოთ აფხაზებთან და, თუ დიალოგი შედეგს მოგვცემს, ხომ კარგი; თუ არადა, ცოტა ხანს ასეთი სიტუაცია შევინარჩუნოთ და რუსეთი კიდევ უფრო არ გავაძლიეროთ ჩვეს ტერიტორიაზე.

„საბჭოთა კავშირის პერიოდშიც ასე იყო. ზამთრის დეფიციტის დროს ჩვენ რუსეთიდან, ჩრდილო კავკასიიდან ვღებულობდით ელექტროენერგიას. სამაგიეროდ, ზაფხულის პერიოდში, როცა მაქსიმალური გამომუშავება ჰქონდათ ჩვენს ჰიდროსადგურებს, იქით ვანვდიდით ელექტროენერგიას, ანუ ბარტერი იყო. ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტი რომ ნახოთ, დაახლოებით იგივე სისტემაა დღესაც შენარჩუნებული. ამაში ახალი არაფერია, ყოველთვის ხდებოდა გაცვლა“.

ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში **შოთა მაჭარაშვილი** მიიჩნევს, რომ აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის უფასოდ მიწოდება განსაკუთრებული შემთხვევაა და არანაირად არ უნდა გადავადგოთ ეს საქმე რუსებს. შოთა მაჭარაშვილი აცხადებს, რომ ეს არის საფასური, რომელსაც ისევ ქართველები ვიხდით იმისთვის, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა პოლიტიკაში. ეს ისევ ჩვენი გამოსასწორებელია — აფხაზებისა და ქართველების. ამიტომ უნდა მოველაპარაკოთ აფხაზებს, რადგან ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ და უნდა გვახსოვდეს, ჩვენ მეზობლები არ ვართ, ჩვენ ვართ ერთი ხალხი და ერთ ქვეყანას ვემსახურებთ.

„ყველაფერი უნდა გააკეთოს ქართულმა მხარემ, სახალხო დიპლომატიაც ჩართოს, რომ ეს საკითხი რუსეთის გარეშე ჩვენს შორის მოგვარდეს. რაც შეიძლება, უნდა გავმიჯნოთ რუსეთი ასეთი საკითხებისგან. მით უმეტეს, ეს ეკონომიკური საკითხებია და ამის შესახებ შეიძლება დალაპარაკება აფხაზებთან“, — აღნიშნა შოთა მაჭარაშვილი.

მანანა ნოზაძე



© განხილვა!

მოგაქცდაპი სარკინიგზო ტრანზიტის ქრონიკა

საქართველოს რკინიგზით ტრანზიტი განუხრელად იკლებს. ამაზე თავად რკინიგზის სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული 2016 წლის სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. ბოლო 4 წლის განმავლობაში მოცულობა 49%-ით შემცირდა. ექსპერტები არაფერზეც მენეჯმენტზე საუბრობენ და მთავრობას დარგის ძირეული რეორგანიზებისკენ მოუწოდებენ.

საქართველოს რკინიგზის სამმართველოს საიტზე გამოქვეყნებული სტატისტიკა დარგში სერიოზული კრიზისის არსებობაზე მიუთითებს. მაგალითად, თუ 2012 წელს რკინიგზით 20 მლნ ტონა ტვირთის ტრანსპორტირება განხორციელდა, გასული წლის შედეგების თანახმად კი, მაჩვენებელი 11 მლნ ტონამდე შემცირდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ იმავე პერიოდში სატვირთო ნაკადი ჩინეთიდან ცენტრალური აზიის ქვეყნების გავლით ევროპისკენ 7-ჯერ გაიზარდა.

„სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელ პაატა ცაგარეიშ-

ვილის განცხადებით, ტრანზიტის კლება როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორებითაა განპირობებული: „ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო წლებში რეგიონის ქვეყნებმა ნავთობის დიდი ნაწილი ნავთობსადენებზე გადაამისამართეს. თუმცა ამ მიზეზმა ტრანზიტი 20-25%-ით შემცირა. გარდა ამისა, სატრანზიტო დერეფნის ქვეყნებმა, საქართველომ და აზერბაიჯანმა ვერა და ვერ შეძლეს ერთიან სატარიფო პოლიტიკაზე ჩამოყალიბება, ხოლო საქართველოს წვლილი ინფრასტრუქტურის განვითარებაში ვერაზიარ კრიტიკას ვერ უძლებს, რაც პირდაპირ აისახება ტვირთების ტრანსპორტირების სიჩქარეზე. შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო დერეფანი სულ უფრო ნაკლებად მიმზიდველი ხდება“.

სიტუაციიდან ძირითად გამოსავლად სპეციალისტებს დარგის ძირეული რეორგანიზება ესახებათ, რადგან საქართველოს რკინიგზის სამმართველო საბჭოთა დროის ლეკალებით, კორუფციული რისკების

შენარჩუნებით განაგრძობს ფუნქციონირებას.

„საქართველომ ევროკავშირის დირექტივების დანერგვის ვალდებულება აიღო. ეს დირექტივები კი დარგის კომერციალიზაციას ითვალისწინებს, რაც სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების სხვადასხვა სტრუქტურების მიერ განხორციელებას მოიცავს. კიდევ ერთი სტრუქტურა უნდა დაკავდეს ინფრასტრუქტურის განვითარებით. კომპლექსური მიდგომა ითვალისწინებს სამთავალსურეო ორგანოს შექმნას, რომელიც სატარიფო პოლიტიკას დაარეგულირებს. ევროდირექტივების დანერგვა მეტ გამჭვირვალობას და კორუფციული რისკების განულებას მოიტანს“, — თვლის პაატა ცაგარეიშვილი.

ამ უკანასკნელზე საუბრობს „პროფესიონალი რკინიგზელების კლუბის“ დამფუძნებელი დავით გოჩავაც. იგი იზიარებს მოსაზრებას, რომ დარგის მმართველობა არაგამჭვირვალე სქემებს ემყარება, რაც მის განვითარებას აფერხებს: „საქართვე-


ლოს რკინიგზის განვითარება მთავრობის პოზიციაზეა დამოკიდებული. იქნება შთაბეჭდილება, რომ სატრანზიტო დერეფანზე საუბრებს მიღმა არაფერი დგას. ვფიქრობ, ევროდირექტივების დანერგვა, ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, დარგის განვითარებას დააჩქარებს. დარგის მმართველობის დაყოფა სამ დამოუკიდებელ ბიზნეს-სტრუქტურად ფუნქციონირებას მოქნილობას შეჰმატებს და შედეგზე თვითნებურებს გახდის. სამომავლოდ თეორიულად შესაძლებელია, დაფუძვით დარგის ნაწილობრივი განსახელმწიფოებრიობაც მართვის გამოცდილების მქონე სტრატეგიული ინვესტირებისთვის აქციების 49%-ის მიყიდვის გზით“, — თვლის გოჩავა.

სპეციალისტების არგუმენტებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხისა და გადაზიდვების კონკურენტუნარიანობის რეიტინგიც ამყარებს (LPI index), რომელიც მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერაა შედგენილი. საქართველო მასში 130 ქულით პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ თურქმენეთსა (140) და სომხეთს (141) უსწრებს. ბოლო 4 წის განმავლობაში ქვეყანა ამ სიაში 53 პუნქტით ჩამოქვეითდა.

„აძინატი“

როგორც არ უნდა იყოს ტრამპი, ის მაინც ამერიკის პატრიოტია

„ამერიკაში მთელი მსოფლიო გაამდიდრა და თვითონ გაღარიბდა!“ „ამერიკა, უპირველეს ყოვლისა!“ „დიახ, ჩვენ კვლავ დიდად ვაქცევთ ამერიკას!“ – ასეთი ფრაზები ისმოდა ვაშინგტონში ლინკოლნის მემორიალთან შეკრებილი ათასობით ადამიანის წინაშე. ინაუგურაციაზე გამოსული ტრამპი არ ჰგავდა არც ჯორჯ ვაშინგტონს, რომლის მიმართაც ისტორიაში ყველაზე მოკლედ ითვლებოდა, არც უილიამ ჰენრი ჰარისონს, რომელმაც ყველაზე ვრცელი, 8500-სიტყვიანი საინაუგურაციო მიმართვა წარმოთქვა, არც ფრანკლინ პირსის, რომელმაც ბიბლიაზე კონკრეტული ტრადიცია დაარდნა და მასზე თავისი მარცხენა ხელი მოათავსა, არც ჯონ კენედის, რომლის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამაც ამერიკელთა სამოქალაქო თვითშეგნება აამაღლა. ტრამპი ამოვარდნილი იყო ამერიკის პრეზიდენტთა საერთო კონტექსტიდან...



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე გვესაუბრება

– რამდენად ჰგავდა და რით განსხვავდებოდა მისი წინამორბედების ცერემონიალისგან ტრამპის ინაუგურაცია?

– დავიწყეთ თვითონ ტრამპის სიტყვებით. მას რომ ვუსმენდით, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს საქართველოზე ლაპარაკობდა – დავარდნილი ეკონომიკა, უმუშევრობა, შიმშილი, ჩინოვნიკების გამდიდრება, ხელფასების, დანამატების მიღება. საუბარი რომ დაიწყო, ხელისუფლება ხალხს დაუბრუნდესო, თვალეები დავხუჭე და მეგონა, 1917 წელს ლენინი გამოდიოდა თავისი ცნობილი ლოზუნგით – „ვსია ვლასტ სავეტამ“ – მთელი ხელისუფლება საბჭოებს, ე.ი. ხალხსო.

– მისი ძირითადი მესიჯი ასეთი იყო, ამერიკამ მთელი მსოფლიო გაამდიდრა და თვითონ გაღარიბდა, დავიცავთ ჩვენი საზღვრები სხვა ქვეყნების შემოტევისგან, ვაფინანსებდით სხვა ქვეყნების არმიებს ჩვენი არმიის ხარისხის შემცირების ხარჯზე... შესაძლოა, ამერიკაში პოპულარულია ტრამპის ასეთი მესიჯები, მაგრამ შესრულებადია?

– ცხადია, ტრამპს წინააღმდეგობა შეხვდება. საქართველოში ყურადღება არაფერია მიქცეული ამ ორიოდე დღის წინათ დავოსში ჩინეთის ლიდერის – სი ძინპინის გამოსვლას. პრაქტიკულად, მან უკვე ომი გამოუცხადა ტრამპს, რადგან ისაუბრა გლობალიზაციის აუცილებლობაზე. ტრამპი როცა ამბობს, ჩვენ სხვებს ვამდიდრებთ და ჩვენ ვღარიბდებითო, ამ სხვებში ძირითადად ჩინეთს გულისხმობს. სი ძინპინის გამოსვლა კი ის იყო, რომ კომუნისტური ჩინეთი თავისი ჩაკეტილობით, პოლიტიკური სისტემით უცებ გამოდის თავისუფალი ვაჭრობის, თავისუფლების, თავისუფალი მიმოსვლის მთავარ ქომაგად.

ფაქტობრივად, სი ძინპინმა განაცხადა, რომ საკუთარ თავზე იღებს მსოფლიო გლობალიზაციის დამცველის მისიას. ჩინეთს ეს ყოველმხრივ აწყობს, ჩინეთიდან მატარებლები უკვე ჩადიან ბრიტანეთში დიდი აბრეშუმის გზით. ამის ერთ-ერთი პირველი პროპაგანდისტი შევარდნაძე იყო. უკვე სამიოთხი წელია, ეს მატარებლები დიდი აბრეშუმის გზით კი დადიან, მაგრამ საქართველოს ადგილი ჯერჯერობით არ ჩანს. აბრეშუმის გზის შესახებ კონფერენცია ბათუმში ჩატარდა, მაგრამ კონფერენციები რად გვინდა, ჩვენ გვინდა მატარებელი, რომელიც გაივლის საქართველოზე. ჯერჯერობით ყაზახეთი, რუსეთი, – სწორედ ასეთია სავსე მატარებლებს რეისი, რომლებიც ჩადიან ინგლისში, ევროპაში და იქიდანაც მოდიან სავსე საქონლოთ და რუსული ხე-ტყით დატვირთულნი.

– მიუხედავად იმისა, რომ მან ორ ბიბლიაზე დაიფიცა (აბრაამ ლინკოლნის პირად ბიბლიაზე, რომელიც ამ ცერემონიალის განუყოფელ ნაწილად იქცა და დედის მიერ ნაჩუქარ პირად ბიბლიაზე) და ამ ნიუანსითაც გამოხატა თავისი ექსტრაგავანტურობა, მის გამოსვლას ამერიკის ვერც ერთ პრეზიდენტთან ანალოგს ვერ მოვუძებნით. იგი ამოვარდნილია ამერიკის ყველა პრეზიდენტის კონტექსტიდან?

– აბსოლუტურად ამოვარდნილია. ინაუგურაცია უფრო შოუა. ისტორიას შემორჩა ის ფაქტი, რომ მეორედ არჩევის დროს ვაშინგტონმა ყველაზე მოკლე სიტყვა წარმოთქვა, 20 თუ 30 წამი ილაპარაკა. შემორჩენილია ის ფაქტიც, ერთ-ერთი პრეზიდენტი – უილიამ ჰენრი ჰარისონი როგორ დაიღუპა ინაუგურაციის მიზეზით. საერთოდ, ვაშინგტონში ძალზე ცუდი კლიმატია, ზაფხულში აუტანელი სიცხეა, ზამთარში წვიმს და ცივა. წინათ 4 მარტს ტარდებოდა ინაუგურაცია, მაგრამ 4 მარტის წვიმების ასაცილებლად ინაუგურაცია იანვარში გადაიტანეს, თითქოს იანვარში უფრო კარგი ამინდი იქნებოდა. თუმცა ჰარისონი სწორედ ინაუგურაციის მი-

ამერიკელებს ერთი რამის შიში აქვთ, ეს არის ბირთვული იარაღი. მათ ფეხებზე ჰკიდიან უკრაინა, საქართველო, ბალტიისპირეთი. ტრამპის საინაუგურაციო სიტყვა, ეს იყო იმოლაციონიზმი, გასული საუკუნის 30-იანი წლების ამერიკა, რომელიც ძლივს გადაგება ხერხემალში რუმველეს, ამ კანონების გაუქმებას შეაღია ნახევარი სიცოცხლე. ტრამპი კი ისევ იმოლაციონიზმზე მიდის – ამერიკა უპირველეს ყოვლისა.

ზეზით დაიღუპა. ის ყოფილი გენერალი იყო, 428 სიტყვა იყო მის ფიცში, მიმართვის სათქმელად ორი საათი სჭირდებოდა. ყოფილმა გენერალმა კი თავი მოიკლა და ქოლგა არავის დაატყრინა. საშინელი წვიმა იყო, სეტყვა სავსებით მოდიოდა და ორი საათის განმავლობაში მილიანად დასველდა, შემდეგ მეჯლისსაც დაესწრო, გაცივდა და 20 დღეში გარდაიცვალა. ყველაზე კარგ გამოსვლად ითვლება აბრაამ ლინკოლნის გამოსვლა, მაგრამ ყველაზე მოხდენილ ფრაზად ისტორიას შემორჩა 1961 წლის 20 იანვარს ჯონ კენედის მიერ ნათქვამი ფრაზა – „იმაზე კი არ იფიქროთ, თქვენს ქვეყანას რა შეუძლია თქვენს ქვეყანასთან, არამედ თქვენს ქვეყანასთან თქვენი ქვეყნისთვის“.

– ასეთი ფრთიანი ფრაზა არ ჰქონია ტრამპს?

– არა, ტრამპს ჰქონდა აფერისტული და პირები – ხალხს მთელი ხელისუფლება, ისტებლიშმენტი მდიდრდება, თქვენ კი ღარიბდებით; მილიარდები ისარჯება განათლებაზე, მაგრამ არავითარ ცოდნას არ ღებულობენ თქვენი შვილები. თუკი ასეთ სამინელოდღეშია ამერიკა, მაშინ რა არის სილიკონის ველი – ამერიკის მაღალტექნოლოგიური ინოვაციების მთავარი ჰაბი? მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ეკონომიკა დღითი დღე იზრდება, როგორც ხდება, რომ დღეს ჩინეთი თავისი ინოვაციებით, ახალი ტექნოლოგიებით, მეცნიერული მიღწევებით ახლოსაც



ვერ მოდის ამერიკასთან? როგორ ხდება, რომ ნობელის პრემიის ლაურეატების 85 % ამერიკელები არიან? საიდან არის ამერიკის ეკონომიკა დღეს პირველი ეკონომიკა მსოფლიოში? საიდან არის ამერიკის შეიარაღება ასეთი მძლავრი?

რასაკვირველია, ამერიკის მოსახლეობის უკმაყოფილება არსებობს, მაგრამ დონალდ ტრამპის ასეთი პოპულისტურ-დემოკრატიულ-სოციალისტური გამოსვლა რას ნიშნავს? თითქოს მილიარდები კი არ ლაპარაკობდა, არამედ ხალხის წიაღიდან გამოსული რობინ ჰუდი, რომელიც ამყობდა, რომ მას არანაირი სიმდიდრე არ ჰქონდა. რეალურად კი, ტრამპი ამყობდა იმით, რომ კანონს არ არღვევდა, მაგრამ ისე მალავდა გადასახადებს. დღესაც თავს იკლავს, არ ასაჯაროებს გადასახადებს. ამერიკის ცნობილ მუსიკოსს – მობის სთხოვს ტრამპის ცერემონიალისადმი მიძღვნილ კონცერტზე გამოსვლა, მაგრამ მან თქვა, მე გამოვალ, თუ ტრამპი გაასაჯაროებს თავის გადასახადებსო. თუმცა ის უარზეა.

– ქართველებისთვის მთავარი არ არის, მექსიკის საზღვართან კედელს ააშენებს თუ არა ტრამპი, ჩვენთვის რა პოზიციას დაიკავებს ამერიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი, რომე-

იარალის შემცირება. ეს უნდა, მეტი არაფერი. ტრამპის ნათქვამი – პუტინს თუ მოვწონვარ, ეს ნაკლად კი არაა, მონაპოვრად მიმაჩნიაო, პოლიტიკოსის პასუხი არ არის, ეს ბიზნესმენის პასუხია. ტრამპი ჯერ კიდევ ბიზნესმენია, პოლიტიკოსი ჯერ არ გამხდარა. გახდება კი პოლიტიკოსი? ივანიშვილი ბიზნესმენი იყო, მაგრამ არ გახდა პოლიტიკოსი, არ მოინდომა პოლიტიკოსად გახდომა და ისევ ბიზნესში წავიდა, მაგრამ ტრამპი არსად წასვლას არ აპირებს. რვა წლის მერეო, თქვა, თითქოს უკვე ოთხი წლის შემდეგ გაირანტირებული აქვს არჩევა.

ბიზნესმენი ბიზნესმენთან რომ გარიგდეს, თუკი ერთმანეთი მოსწონთ, ეს ხელშემწყობი ფაქტორია, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი, იმიტომ, რომ მას თუ მოვწონვარ, ეს არ ნიშნავს, რაღაც დავუთმო. ასეთი რამ ბიზნესში არ ხდება. ამერიკელებს ერთი რამის შიში აქვთ, ეს არის ბირთვული იარაღი. მათ ფეხებზე ჰკიდიან უკრაინა, საქართველო, ბალტიისპირეთი. ტრამპის საინაუგურაციო სიტყვა, ეს იყო იმოლაციონიზმი, გასული საუკუნის 30-იანი წლების ამერიკა, რომელიც ძლივს გადაგება ხერხემალში რუმველეს, ამ კანონების გაუქმებას შეაღია ნახევარი სიცოცხლე. ტრამპი კი ისევ იმოლაციონიზმზე მიდის – ამერიკა უპირველეს ყოვლისა.

ტრამპს უნდა, რომ წაშალოს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ამერიკა, იმავე ნიქსონის დოქტრინა, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, მსოფლიოში თავისუფლებისთვის მებრძოლ ყველა ერს უნდა ჰქონდეს ჩვენი დახმარების იმედი. იგივე ეიზენჰაუერი, რომელიც ამბობდა, ჩვენ ყველგან ყველას დავხმარებითო, იგივე კენედი, ჯონსონი, რომლებიც ამბობდნენ, თუ სხვა პატარა ერის დახმარებისთვის საჭიროა ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლე, საჭიროა ჩვენი მილიონები, ჩვენ ამას გავიღებთ და დავხმარებითო. ეს იყო ამერიკის მისიონიზმი, რომ მთელ მსოფლიოში თავისუფლებისთვის მებრძოლ ნებისმიერ ხალხს უნდა ჰქონოდა მათი იმედი. ტრამპმა კი თქვა, ნურავის აქვს ჩვენი იმედი, გინდათ, იყოთ დაცულები? – გადაიხადეთ ფული ამისთვის და ჩვენგან იყიდეთ თქვენი დაცვა. ამასვე ეუბნება ნატოს 28 წევრს, გინდათ, ამერიკამ დაგიცვათ? ამისთვის ფული გადაიხადეთო.

– თუკი ტრამპის მოსვლის შემდეგ ამერიკამ მისიონისტური იდეა დაკარგა, ვინ შეაჩერებს მას?

– რასაკვირველია, დაკარგა, მაგრამ ტრამპი არ არის ყველაფერი. ტრამპს ვერც წარმოუდგენია, როგორ დანაღმულ ველზე მოუწევს გავლა კონგრესის სახით. კონგრესის აბსოლუტური უმრავლესობა, „რესპუბლიკელებიც“ კი, რბილად რომ ვთქვათ, არ იზიარებენ ტრამპის ენთუზიაზმს რუსეთთან დაკავშირებით. ბირთვული განიარაღება არც რუსეთს აწყობს. ბოლო ორი-სამი დღეა, რუსული პრესა იმედგაცრუებული, აღშფოთებულია, აგრესიის პირველ ყლორტებს ავლენს და არ მალავს, რომ „ტრამპი, რომლისგანაც ჩვენ სიკეთეს ველოდით, ისეთ წინადადებას გვიყენებს, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია“.

როგორიც არ უნდა იყოს ტრამპი, ის მაინც ამერიკის პატრიოტია, ის ამერიკელია. კონგრესიც ამერიკის პატრიოტებისგანაა დაკომპლექტებული და არც ერთ კონგრესმენს აზრად არ მოუვა ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც ამერიკის ინტერესებს ავნებს. მით უმეტეს, ამერიკაში არაფერი იმალება.

რა უწინასწარმეტველა მედეა ამირანაშვილს სანდრო ინაშვილმა



ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარი საპარტოვლოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ჯაჰარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, საოპერო სცენის პრიმადონა მედეა ამირანაშვილი.

ქალბატონი მედეა „ხელოვნების ქურუმი“. შარჰან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ მისი პარსკვლაში გაიხსნა.

ჩვენს თაობას, რომელიც თბილისში დაიბადა და გაიზარდა, გვქონდა გადენიერება, მოგვასმინა მისი ცოცხალი შესრულება ოპერის თეატრის სცენაზე, მაგრამ დღევანდელმა ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, თუ ვინ არის მედეა ამირანაშვილი.

იგი გახლავთ ერთ-ერთი უდიდესი მომღერალი, რომელმაც საპარტოვლოს მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

ახლა დიდი პაესტროს სანდრო ინაშვილის წინასწარმეტველური სიტყვები, რომლებიც ახს ერთ-ერთი გაკვეთილის შემდეგ უთქვამს ქალბატონი მედეას გამოსვლის, პატარა ამირანაშვილისთვის: „დაიმასხვრეთ, ამ გოგონათი საპარტოვლო იამაყვას“.



— ქალბატონო მედეა, თქვენი მშობლები პეტრე ამირანაშვილი და ნადეჟდა ცომაია, ასევე უდიდესი მომღერლები იყვნენ. როგორ გაიხსენებდით მათ?

— დედა ჩვენს თეატრში და ახლანდელი სანკტ-პეტერბურგის ოპერაში მოღვაწეობდა, ორივე თეატრში მეცოსოპრანოს მთელი რეპერტუარი მიჰყავდა: „ტრუბადური“, „აიდა“, „კარმენი“ და მრავალი სხვა. დიდი წარმატება ჰქონდა საქართველოს დეკადანზე მოსკოვში ჯერ კიდევ 1937 წელს მელიტონ ბალანჩიშვილის ოპერა „დარეჯანი ცბიერში“, სადაც დარეჯანის პარტია შესრულა. განუყოფელი იყო კონცერტი ლენინგრადში იტალიელი მუსიკოსის ვილი ფერეროს დირიჟორობით. ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ მას ულამაზესი ხმა ჰქონდა და საერთაშორისო კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ დედაჩემი მსოფლიო კარიერაზე მეტად, ოჯახზე ფიქრობდა. ამას განსაკუთრებით ვაფასებ ახლა.

მამაჩემი უნიკალური მომღერალი და არტისტი იყო, არაჩვეულებრივ გარეგნობასთან ერთად, შესანიშნავი ხმით, არტისტიზმით გამოირჩეოდა. გრანდიოზული წარმატება სდევდა ყველგან, მის მურმანს, კიზოს, ტონიოს, ამონასროს, რიგოლეტოს...

მამა ბევრს მოგზაურობდა გასტროლებით. ჩინეთში გამართული ერთი კონკურსის ჩანაწერი მაქვს. ვერ წარმოიდგენთ, რა ხდება, ხალხი მთელი ხმით კივის, ინგრევა დარბაზი. მამას აღფრთოვანებით სვდებოდნენ ევროპის ქვეყნებში, საბჭოთა კავშირის ქალაქებში, მაგრამ ყველაზე მეტად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უყვარდა მოგზაურობა, სოფლებშიც კი ჩადიოდა კონცერტებით. დედა მკაცრად მზრდიდა, როცა რაიმე არ მოსწონდა, საკმაოდ დაუნდობლად მაკრიტიკებდა, მამა კი ყოველ-

თვის მანებევრებდა.

— თქვენ მალაღი შთაგონების ვოკალურ სამყაროში იზრდებოდით. მშობლების გარდა, როგორც მომავალი მომღერალი, ვინ იყვნენ თქვენი პირველი მასწავლებლები ვოკალურ სკოლაში?

— მე მყავდნენ შესანიშნავი მასწავლებლები, ქართული ვოკალური სკოლის ფუძემდებლები: პროფესორი ოლა ბახუტაშვილი-შულგინა (პირველი ეთერი), პროფესორი სანდრო ინაშვილი (პირველი მურმანი) და ოპერის თეატრში გახლდათ ნინა ვალაძე (ქართველ-იტალიელი სოპრანო), იტალიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი, რომელიც მაძლევდა უმკაცრეს და უმაღლეს შეფასებებს თეატრში მეცადინეობის დროს.

— პირველი წარმატება როდის მოვიდა? — პირველი წარმატება საოპერო სტუდიის სტუდენტურ სცენას უკავშირდება. აქ მე ვიმღერე ზემფირა — სერგეი რახმანინოვის „ალეკოში“, ტატიანა — პეტრე ჩაიკოვსკის „ევეგენი ონისკი“, თუმცა განსაკუთრებულად მასხენდება დირიჟორ გრიგოლ კილაძისა და რეჟისორ შოთა აღსაბაძის მიერ დადგმული ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, სადაც მესამე კურსის სტუდენტი ვასრულებდი მარეხის პარტიას. ეს სპექტაკლი მხოლოდ იმით არ იყო მნიშვნელოვანი, რომ ამ პატარა როლმა დიდი წარმატება მომიტანა. მთავარი ის იყო, რომ ამ სპექტაკლის შემდეგ მარეხის პარტიის შესრულება უკვე თეატრის დადგმაში შემომთავაზეს და, იცით, ვის გვერდით? — ჩემი მშობლების... ნათელას პარტიას მღეროდა დედა, მურმანის პარტიას კი — მამა. ასე აღმოვჩნდი თეატრში.

— შეიძლება, ბევრმა არც კი იცის, რომ ფილმში „ქეთო და კოტე“ თავადი ლევანის როლს თქვენი მამა პეტრე ამირანაშვილი ასრულებს და ახმოვანებს.

— მამას რაღაც საოცარი ემოციური მუხტი ჰქონდა, იმდენად ძლიერი, რომ ყველას აღანთებდა სცენაზე და დარბაზშიც. შეუძლებელი იყო, მის გვერდით ცუდად გეთამაშა, ისეთ აღმაფრენას გრძნობდი.

— ქალბატონო მედეა, პარტნიორებშიც ბედი გწყალობდა...

— ნამდვილად და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ბედი მწყალობდა როგორც უფროს, ისე ჩემს და ჩემ შემდგომ თაობებშიც. უამრავი სიხარული მასსოვს ზურაბ ანჯაფარიძესთან, ნოდარ ანდლულაძესთან, ირაკლი შუშანიასთან, თენგიზ ზაალიშვილთან, თენგიზ მუშუკუდიანთან და სხვა მრავალ მომღერალთან ერთად მონაწილეობისას. არასოდეს დამავიწყდება სპექტაკლები და კონცერტები ზურაბ სოტკილაშვილთან, თამარ გურგენიძესთან. ისინი არა-

მხოლოდ კოლეგები, დიდი მომღერლები და ოსტატები, არამედ ჩემი უახლოესი მეგობრებიც არიან. განსაკუთრებით ბევრი მაქვს ნამღერი ზურაბ ანჯაფარიძესთან და ნოდარ ანდლულაძესთან ერთად. ისე მივეჩვიე მათ სტილს, რომელიც ორივეს განსხვავებული აქვს, რომ გამომეტყველებით, მზერით, უსიტყვოდ ვგრძნობდი ყოველ ნიუანსს და მათი განსხვავებულობა ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. ყველაზე სასიამოვნო ის არის, რომ ყველა სოპრანოსთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა და მაქვს. ყოველთვის მეამაყება, რომ ნათელა ტულუში, ოლა კუზნეცოვა, ცისანა ტატიშვილი, მაყვალა ქასრაშვილი, ლამარა ტყონია ყოველთვის ჩემი მეგობრები იყვნენ და არა მეტოქეები. მიმართლებდა არა მხოლოდ პარტნიორებში, არამედ დირიჟორებში, რეჟისორებსა და კონცერტმაისტრებშიც.

მომღერლისათვის კონცერტმაისტერი მამოძრავებელი სულია. კარგი კონცერტმაისტერი წარმატების უტყუარი ბარომეტრია. სწორედ ასეთები იყვნენ ტატიანა დუნეკო და იუდიფ სალაყაია, რომლებთანაც მოვამზადე პირველი სპექტაკლები და საკონცერტო პროგრამები, შემდგომში კი — ვაჟა ჩაჩავა, ნანა დიმიტრიადი და ბევრი სხვა.

— შემოთავაზება ბევრი გქონდათ საზღვარგარეთიდან?

— ძალიან ბევრი, მაგრამ მე თბილისის გარეშე ვერ ვსუნთქავ. გასტროლებიდან დაბრუნებისას მასსოვს, თბილისს რომ ვუახლოვდებოდით, როგორ მიცემდა გული და ერთი სული მქონდა, როდის დავადგამდი ფეხს ქართულ მიწას.

— ყველაზე მეტად მაინც რომელი როლი გაითავისეთ? ლელას პარტიაში ისეთი შეუდარებელი იყავით, თურმე რევაზ ლალიძეს უთქვამს თქვენთვის, შესწავით მაინც ვერავინ მღერის ლელას პარტიასო.

— ეს იყო ჩემთვის უბედნიერესი წლე-

ოპერის ყველა წერილმანის განხილვას. რეპეტიციების დროს გარდამეცვალა დედა. ლელას არიის ემოციური ხასიათი საოცრად დაუახლოვდა ჩემს პირად სევდას. იმ დღიდან ლელას არია ჩემთვის უსაყვარლესი გახდა. მე მას მუდმივად ვასრულებდი საკონცერტო გამოსვლებში.

— თქვენ ბრძანდებით ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის სოლოსიმღერის კათედრის პროფესორი და არაერთი საამაყო მოსწავლე აღზარდეთ. არსებობს თუ არა დღეს კონსერვატორიაში იმედისმომცემი კადრი? ბუნებრივია, ვოკალისტებს გვულისხმობ.

— არიან ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებზეც შეიძლება, იმედი დავამყაროთ. მერე რა გამოვა, მომავალი გვიჩვენებს.

— ნიჭისა და შრომისმოყვარეობის გარდა, კიდევ რა სჭირდება ვოკალისტს, რომ წარმატებული იყოს?

— საოპერო მომღერალს განსაკუთრებული გონება, ხმა და გული სჭირდება. ეს კომპონენტი აუცილებელია. ერთ-ერთი თუ აკლია, ის მომღერალი ვერ გახდება. ამიტომ კარგი მომღერალი ბევრია, მაგრამ უმაღლეს საფეხურზე მყოფი — ცოტა. ამას გარდა, აუცილებელია არტისტიზმი. შემასავით ადამიანი, როგორი ხმაც არ უნდა ჰქონდეს, დიდი მომღერალი ვერ გახდება. ხმას ბუნება, ღმერთი გაძლევს, შენ რას შემატებ, ეს უკვე შენს გონებაზე, ინტელექტსა და განათლებაზეა დამოკიდებული. ხელოვნებაში ვერ იცრუებ.

ხელოვანი არ შეიძლება იყოს გაბოროტებული. ის სიკეთეს უნდა ატარებდეს, პატივს სცემდეს უფროს თაობას და ქედმაღლურად არ უნდა უყურებდეს ახალგაზრდებს. ამიტომ ვცდილობ, არ დავინანო კეთილი სიტყვა. სანამ კოლეგას ან სტუდენტს შენიშნავს მიცემ, ჯერ იმას ვეუბნები, რაც კარგი დავინახე. ამის შემდეგ შენიშვნასაც, როგორც სიკეთეს, ისე აღიქვამს და არა როგორც მტრის შურიან გაზრახვას. მე ხომ არ ვმტრობ, როცა ნაკლებ მივუთითებ.

— შეიძლება, ვინმე არ იცის, რომ სიკო დოლიძის ფილმში „ჭრიჭინა“ ლეილა აბაშიძის პერსონაჟის სიმღერებს სწორედ თქვენ ასრულებთ. ამასწინათ მოვისმინე, 60-წლიანი პაუზის შემდეგ თქვენ კვლავ იმღერეთ ის.

— დათო საყვარელიძე სულ მთხოვდა, იმღერე, გაეკეთათ შენი ბენეფისიო და კაჭრეთში კონცერტზე ვიმღერე.

— თქვენმა ქალიშვილმაც დედის გზა აირჩია და ნიჭიერი საოპერო მომღერალია.

— ჩემს სახლში კიდევ ერთი სოპრანო გამოჩნდა — ჩემი შვილი მარინე ფარულავა. მან უკვე საკმაო წარმატებები მოიპოვა როგორც ჩვენს თეატრში, ისე ვაშინგტონში, სადაც ოთხი კონცერტი გამართა თეატრში, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი თვით პლასიდო დომინგოა, თურქეთში გახდა ლენჯერის საერთაშორისო კონკურსის დიპლომანტი, წარმატებით გამოდიოდა ქუთაისის ოპერაში, ახლა თბილისის თეატ-



პეტრე და მედეა ამირანაშვილები. „ჯამბაჯები“

ბი, როცა მასთან ერთად გეშუაობდი თეატრში ოპერა „ლეილაზე“.

ერთ საღამოს ზურაბ ანჯაფარიძეს, ვახტანგ ფალიაშვილსა და მე მოგვასმენინა ნაწყვეტი თავისი ახალი ოპერიდან, თანაც გაგაფრთხილა, რომ ნამყვანი პარტიების შესრულება დავით გამრეკელისა და ჩვენთვის ჰქონდა გათვალისწინებული. დაიწყო რეპეტიციები. ბატონი რეზო ძალიან ექსპანსიური პიროვნება გახლდათ, არ კმაყოფილდებოდა თეატრში რეპეტიციებით, მიეყვადით თავის სახლში და ვაგრძელებდით


რის სოლისტია.

ჩემი შვილიშვილებიც, მედეა და პეტრე, „ნამდვილი ხმებით“ გამოირჩევიან, მაგრამ ჯერ სხვა ინტერესები აქვთ, კარგად სწავლობენ და ამბობენ, თუ მოგვინდება, მერე დავიწყებთ სიმღერასო. ასე იყო მარინაც. მან ჯერ საფორტეპიანო კლასი დაამთავრა და მერე მოჰკიდა ხელი ვოკალს. მე კი მთელი არსებით ვისურვებდი, არ შეწყდეს თბილისის თეატრში ჩვენი ოჯახის ხმა.

ესაუბრა ირინა ტატიშვილი

გვარგა II

ძე გვარგა II-ისა, გვარგათიონთა ტაოს შტოდან, მეფეთა მეფე, 994-1008 წ.წ. ცოლად ჰყავდა დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფის გიორგი II-ის ასული გურანდუხტი (მეფობით მომავალი ერთიანი საქართველოს მეფე გვარგა III), მეფობდა ტაოში, მაგრამ ემორჩილებოდა კლარჯეთის მეფეთა მეფეს დავით III კურაპალატს. 989 წელს კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარისის ძე განუდგა გვარგა III-ს. გვარა-



ქუჩი და ფარნავაზი

ტი სამხრეთისკენ დაიძრა ლაშქრით, „მოროტმა ენებმა“ დავით III გაახელეს, შენი შვილობილი და გაზრდილი შენს დასამზადებლად მოდისო. დავითი საომრად აღიკაზმა, გურგენ II-მაც იარაღი აისხა და შვილის მისაშველებლად გაემურა. დავითმა ჯარი დაადევნა და შავშეთში გამართულ ბრძოლაში გურგენი დამარცხდა, გაიქცა და წვეთის ციხეში ჩაიკეტა. მალე გაიწვეა, რომ ბრძოლა ტყუილად მოხდა; დავითი და გვარგატი, როგორც საყვარელი და ერთგული მამობილი და შვილობილი ერთმანეთს მოყვრულად შეხვდნენ. გურგენი ტაოში დაბრუნდა, 2008 წელს იგი გარდაიცვალა და მისი სამფლობელოც მისმა ძემ გვარგა III-მ შეიერთა.

ადარნასე III კურაპალატი

ძე გვარგატი მაგისტროსისა, ტაო-კლარჯეთის მეფე 958-961 წლებში. სახელოვანი დავით III-ის მამა.

დავით III დიდი, მეფეთა მეფე, კურაპალატი

ძე ადარნასე III-ისა, მეფეთა მეფე 961-1001 წლებში, სახელგანთქმული ხელმწიფე, საქართველოს გაერთიანების რეალური მოთავე და წინამძღოლი. 979 წელს ბიზანტიის საიმპერატორო კარის წინააღმდეგ აჯანყდა ბარდა სკლარიოსი. კონსტანტინეპოლის სასახლემ დახმარება ქართველ ხელმწიფეს სთხოვა. დავითმა 12 ათასი ქართველი მეომარი გაგზავნა თორნიკე ერისთავის სარდლობით, რომელმაც სკლარიოსი გაანადგურა და მასილი კეისარი ტახტზე დაამჯავრა. სამაგიეროდ კეისარმა დავითს უბოძა კარიონი (არზრუმი), მასიანი, შარქი, აპაჰუნიქი (ვანის ტბასთან) ხალდო-არიჭი, სევუკი და კლასურა. 980 წელს დავითმა მანაზკერტი (ვანის ტბასთან) აიღო განდევნა არაბები და ჩაასახლა ქართველები და სომხები. 997 წელს ისევ ვანის ტბასთან დავითმა არაბებს წაართვა ქალაქი ხლათი. 998 წელს გაანადგურა არაბთა 100-ათასიანი არმია, დავითის სამხრეთული საზღვრები ვანის ტბისა და ერზინკას (ერზინჯანის) გასწვრივ დამკვიდრდა. 975 წელს იოანე მარუშის ძის ხელშეწყობით დავითმა ქართლის ტახტზე დასვა თავისი შვილობილი გვარგა III (ძე გურგენ II-ისა), ხოლო 978 წელს მასვე ჩააბარა მთელი დასავლეთი საქართველო. 1001 წელს მოკვდა დავით III, 1008 წელს კი გურგენ II და სამხრეთული ტახტებიც გვარგა III-ს დარჩა. ამგვარად ვახტანგ გორგასლის აღსასრულიდან 500 წლის თავზე, საქართველო ხელახლა გაერთიანდა (1010 წელს გვარგა III-ემ შემოიერთა კახეთ-შერეთიც).

გაბრიელეზა. დასაწყისი № 236, 241 (2016), № 2, 8

ჩვენი მირონსახეული სელეზიონი

გვარგა-ლაშქის სეზიონი გვარგა:

გვარგა I - I-II საუკუნეების მიჯნა
მალასა - II ს. I ნახევარი
პაურონი - II ს. შუა ხანები
გვარგა I - 440-465 წწ.
წათე I - 465-490 წწ.
დამნაგე - 490-520 წწ. ბიზანტიური წყაროების „დამანარძე“
წათე II - 520-529 წწ.
გვარგა II - 541-554 წწ.
წათე III - 554-565 წწ.

გვარგის ცნობილი პატრიკიონები, ანუ ერისმთავრები, სატახტო ციხე-ქალაქი ჯიხორა (აფხაზეთის ტერიტორიაზე), პატრიკიონთა სახელებს უკვე ბიზანტიური გავლენაც ეტყობა;
გვარგა I - 640-663, 664-665 წწ.
გვარგა II - 663-664, 665-691 წწ.
გვარგა II გვარგარის ძე - 675-691 წწ.
სერგი გვარგარის ძე - 691-711 წწ.
სერგიმ ქვეყანა 697 წ. არაბებს დაუმორჩილა. 711-762 წწ. ქართლის საერისმთავროსთან შეერთება. იოანე არჩილის ძე ქართლის ერისმთავრის ვაჟი, 762-778 წწ. აფხაზეთის ერისთავმა ლეონ II-მ აფხაზეთი და ეგრისი გააერთიანა.
კ.გ. გამსახურდია დაასკვნის: ამრიგად დაიღო გავრთიანებული საქართველოს ფუძე-ქვა, არტანუჯელი გვარგარის ძის და აფხაზი ლეონიდის ერთობლივი ძალისხმევით უკვე მერვე-მეათე საუკუნეებში.

ახლა გვარგა-აფხაზეთის გვარგატი ტრადიციული ნუსხა:

გვარგატი

გვარგა-ლაშქის მეფე II საუკუნის შუა წლებში. დიდი მეგობრობა ჰქონდა რომის იმპერატორ ანტონინუს პიუსთან.

გვარგა I

გვარგა-ლაშქის მეფე დაახ. 455-510 წ.წ. მან ყოველი სახის ქვეშევრდომობაზე უარი შეუთვალა ბიზანტიის იმპერატორს მარკიანეს. მაშინ, 456 წელს, ეგრისის ბიზანტიელთა არმიები შემოესივნენ. გვარგა II-მ (ლაშქმა) მტერი გაანადგურა.
კეისარმა ზაფი ითხოვა. გვარგა II კონსტანტინოპოლიდან მოწვევა მიიღო. ისიც გამოცხადდა შუბოსან თანამგებამლეების თანხლებით მარკიანეს სტუმარს ფრთხილი საყვდელი აკლდა, მაგრამ გვარგა II-მ დახვეწილად მჯერმეცხველმა თავაზიანობამ, განსწავლულობამ, მოხმობელმა მანერებმა სასეზიონო დაატყვევა იმპერატორი და მისი კარი, მოლოდინი გვარგა II-მ ბიზანტიელებმა დიდი ძღვენი და პატივით გამოისტუმრეს ეგრისში.

ნათე I

გვარგა I-ის ვაჟი, გვარგა-ლაშქის მეფე 510-530 წლებში. 523 წელს სპარსთაგან ლტოლვილი ქართლის მეფე გურგენთან ერთად კონსტანტინეპოლს ეწვია. იმპერატორი იუსტინე დიდი პატივით შეხვდა ქართველ მეფეებს. წათე იქვე მოინათლა ქრისტიანად, გამოცხადდა „ბიზანტიის მოკავშირედ და მეგობრად“. ქვეყნმა წათემ ცოლად შეირთო უწარჩინებულესი სენატორის ასული ვალერია. წათე შინ დასაჩქერებელი დაბრუნდა. 528 წ. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ომი ატყდა ეგრისისათვის. მაშინ კავადამ დიდძალი მხედრობა შეუსია ეგრისს. წათე მამაცურად ებრძოდა მტერს. მისი მოკავშირე ბიზანტია კი დიდ გულმოდგინებას ვერ იჩენდა. 530 წელს ეგრისის ტახტზე უკვე გვარგა II-მ ჩანს.

გვარგა II

გვარგა-ლაშქის დიდი მეფე 530-554 წლებში. ჯერ შეურიგებლად ებრძოდა სპარსელებს. მერე როცა სპარსელებმა და ბიზანტიელებმა შორის „მარადიული ზავი“ დაიდო (532 წელს) და ეგრისი სპარსელთაგან გათავისუფლდა, კეისარმა იუსტინიანემ ჯარები ეგრისში შეიყვანა. აღმოჩენილმა გვარგა II-მ მაშინვე ხოსროს ანუ შირვანთან გააბა კავშირი. სპარსელები ეგ-

რისში შეიჭრნენ და ბიზანტიელებს შეეხვედნენ. გვარგა II-მ მალე დარწმუნდა, რომ სპარსელთა უღელს უფრო მძიმე იყო, ვიდრე ბიზანტიური, თანაც შეიტყო, რომ სპარსელები მოკვლას უპირებდნენ და გადაწყვიტა ისევ ერთმორწმუნე ბიზანტიელებს მიმხრობოდა. სპარსელებს 20 წელი ებრძოდა მამაცურად და თავგანწირვით. ბიზანტიელი სარდლები ისევ უგულოდ და ხშირად მოლაღატურად ექცეოდნენ ლაშქარს. გვარგა II-მ აღარ ერიდებოდა მათ და პირში ლანძღავდა, კეისარსაც ატყობინებდა მათ უვარგისობას. ბიზანტიელმა სარდლებმა გვარგა II-ს დალაპატი დაამარცხეს და 554 წელს ხოზისწყლის პირას უიარაღო მეფე დალაპატი მოკლეს.

ნათე II

წათე I-ის ვაჟი და გვარგა II-ის ძმა. აღიზარდა კონსტანტინეპოლში, როცა ბიზანტიელებმა გვარგა II დალაპატი მოკლეს, ეგრისელებმა კეისარსაგან მეფედ წათე გამოითხოვეს. კეისარმა იუსტინიანემ ეს თხოვნა აღასრულა. გამეფდა 554 წლიდან. უცნობია როდემდე, რამდენი ხანი იმეფა.

სპარგა გარგარის ძე

გვარგა-ლაშქის „ერისმთავარი“ (მეფე?) VII საუკუნის 90-იან წლებში. 697 წელს ბიზანტიის კეისარს ლეონტის აუჯანყდა და ბიზანტიელები ეგრისიდან განდევნა. მაგრამ მაშინ არაგვში შემოვიდნენ ეგრისში და იქ დამკვიდრდნენ.

ლავი II

ძმისწული ლეონ I-ისა (ლეონ პირველად ითვლება აფხაზეთის ერისთავი, ბიზანტიის ვასალი), ლეონ II პირველია, ვინც მეფის ტიტული მიიღო აფხაზეთში (755-800 წ.წ.). იგი შეუკავშირდა ხაზარებს (დღეა ხაზარი ჰყავდა), აუჯანყდა ბიზანტიელებს და თავი გამოაცხადა დამოუკიდებელ ხელმწიფედ. სატახტო ქალაქად დაიდგინა ქუთაისი.



ლავი II

თეოდოსი I

უფროსი ვაჟი ლეონ II-ისა. დასავლეთ საქართველოს მეფე 800-825 წლებში. მეფე ფეოლოსი I იყო სიძე სამხრეთ საქართველოს მეფის ანტონ I გვარგარის ძის. სიმამრს ეხმარებოდა ქსნის ხეობის დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

ლავი II

ლეონ II-ის შუათანა ვაჟი, დასავლეთ საქართველოს მეფე 825-861 წლებში. რამდენჯერმე დაამარცხა და თავისი სამეფოდან განდევნა ბიზანტიელები. ბრძოლა საქართველოში შემოჭრილ ბუღა თურქის არაბულ მხედრობას. ზრუნავდა დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გასამტკიცებლად. მისი მზრუნველობით განასრულდნენ სამონასტრო აღმშენებლობის გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები.

გიორგი I

უმცროსი ვაჟი ლეონ II-ისა, დასავლეთ საქართველოს მეფე 861-868 წლებში. საუფლისწულო მამულად ჰქონდა წერეთი, აქედან ზედნადები სახელი „წერეთელი“. თავგამოდებით იბრძოდა ქართლის დასაუფლებლად, ბოლოს შეძლო კიდევ ქართლში მმართველად ჩასვდა თავისი ძმისწული გვარგა II-მ და მისი თითქმის მაშინვე გარდაიცვალა და ქართლის შემოერთების საქმეც, აფხაზეთის სასახლის კარზე გადატრიალების გამო ჩაიშალა.

სანდრო ალექსიძე

(გაგრძელება იქნება)

გვარგა-აფხაზეთის გვარგატი

ალმანახ „ცოტნეიდელის“ X ტომის III ნაწილში (2016-2017 წ.წ.) დაიბეჭდა მკვლევარ კონსტანტინე გ. გამსახურდიას ნაშრომი „კოლხეთის მეფეები“, მისი მოსაზრებით ქართული სახელმწიფოებრიობა ფარნავაზიელებსა და გვარგარის ძეგლებს არანაკლებად კოლხეთის მეფეებიდან იღებს თავის სათავეს. ეს არის კოლხეთის, ლაზიკის და ეგრისის მეფეების სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილი ნუსხა.

ზოგადად მეფეთა ამ დინასტიას, რომელიც შესაძლოა, აგებული ყოფილიყო სისხლით ნათესაობის პრინციპზე, შეიძლება პირობითად ეწოდოს კოლხეთის აიტიდელ მეფეთა ნუსხა.

ეს აიტიდელი მეფეები, ფაქტობრივად, ივნორირებული არიან იმ ისტორიოგრაფიაში, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის ლეონტი მროველისეულ განვრცობას უპირობოდ იზიარებს. კონსტანტინე გ. გამსახურდია გვთავაზობს შემდეგ ნუსხებს:

კოლხეთის გვარგატი

(სატახტო ილდამუსა, აია, ჯიხაგუნი, ანუ ციხე-გოჭი):

მენერტა - 535-495 წწ.
მეგარონი - 495-460 წწ.
სავლაკი - 460-420 წწ.
ხარატი - 420-400 წწ.
ავი I - 340-310 წწ.
ავი II - 190-180 წწ.
აკუსილოხი - 180-170 წწ.

ქუჩი, ფარნავაზის მოკავშირე და პარტნიორი, როგორც ხელისუფალი, ორ აკუს მორისაა სავარაუდო. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტში ერისთავად მოიხსენიება, მაგრამ იგი აშკარად კოლხეთის მეფე უნდა იყოს, დაასკვნის მკვლევარი. ძვ.წ. 110 წ. კოლხეთის სამეფო პონტომ დაიპყრო.

კოლხეთის კონტაქტი გვარგარის ძეგლები:

მოაფერნე - 110-84 წწ.
მიტრიდატე - 83-65 წწ.
ოთლაკე - 83-65 წწ.
მიქარესი - 65 (ძვ. წ. 65 წელს კოლხეთის და პონტოს რომს დაემორჩილა).
რომის დანიშნული მეფე იყო არისტარქე - 65-49



მიტრიდატე

❶ ჩოგბურთი

3 თებერვლიდან - ფინეთთან

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები თებერვალში დევისის თასის ჯგუფურ ეტაპზე ფინეთს დაუპირისპირდება. ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის მატჩი 2017 წლის 3-5 თებერვალს, სპორტის ახალ სასახლეში საქართველოს და ფინეთის ნაკრებებს შორის გაიმართება.

მეტოქეები შარშანაც მეორე ზონაში იყვნენ. ფინელებმა პირველ წრეში ზიმბაბვეს მოუგეს - 4:1, მეორეში კი დანიასთან დამარცხდნენ - 2:3, ჩვენებმა კი პირიქით - პირველი პაექრობა დანიელებთან დათმეს - 0:5, მერე კი ზონაში დასარჩენად ზიმბაბვეს აჯობეს - 3:2.

შარშან სუომელების ლიდერი იყო იარკო ნიემინენი. ფინელთა გუნდი ამჯერად უიმისოდ ჩამოვა თბილისში. მათს სპორტულ ლირსებას დაიცავენ: პატრიკ ნიკლას-სალმინენი (ერთეულთა რეიტინგით 745-ე, წყვილებში - 818-ე), უერო ვასა (1113-ე, 993-ე), ემილ რუუსუ-ვუორი (1511-ე, 1505-ე), ჰარი ჰელიოვა-არა (28 წლის, ურეიტინგო), კაპიტანია კიმ ტიილიკანენი.

საქართველოს ნაკრები ასეთი შემად-



გენლობით ითამაშებს: ნიკოლოზ ბასილაშვილი (92-ე, 1215-ე), გიორგი ცივაძე (810-ე, 589-ე), ზურა ტყემალაძე (17 წლის, ურეიტინგო), ვაჟა შუბლაძე (18 წლის, ურეიტინგო), კაპიტანი დავით კვერნაძე ოთხივე ჩოგბურთელი ამჟამად თბილისშია და მომავალი პაექრობისთვის ემზადებიან.

კალენდარი

3 თებერვალი - 12:45 საათი
4 თებერვალი - 15:00 საათი
5 თებერვალი - 13:00 საათი

ნათია ასაძე

❷ რაგბი

ევროპას ბრიუსელში ბელგიით იწყებენ



2015 წელს ინგლისში გამართულ მორაგბეთა მსოფლიოს თასზე წარმატებული გამოსვლით საქართველოს ნაკრებმა 2019 წლის მსგავს შეჯიბრებაზე თამაშის უფლება მოიპოვა. ამის მიუხედავად, „ბორჯღალოსნები“ მონდომებით იბრძოლებენ და ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ „რაგბი ევროპის ჩემპიონატის“ წლებადგელ გათამაშებაში გაიმარჯვონ, რომელიც ამავდროულად ტოკიოს მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპიცაა. საგულისხმოა, რომ ჩვენს ნაკრებთან მიღწეული შედეგები მეტოქეებს აქტივში არ ეწერება.

ჩვენები „რაგბი ევროპის ჩემპიონატის“ პირველ მატჩს სტუმრად 11 თებერვალს გამართავენ ბელგიის ეროვნულ გუნდთან. მატჩი ბრიუსელში გაიმართება. ქართველებმა აქამდე ბელგიის ნაკრებს ორჯერ მოუგეს. მომავალი პაექრობისთვის მოსამზადებლად საქართველოს ნაკრები ტულუზასთან ახლოს შეიკრიბება.

„ბორჯღალოსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა 31-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც მრავლად არიან ახალბედა და ახალგაზრდა მორაგბეებიც. „ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, ტურნირის მოგებაა. ამასთან ერთად გვინდა, რომ სათამაშო პოზიციებზე კონკურენცია გავზარდოთ და ახალგაზრდა მორაგბეებს თავის გამოჩენის შანსი მივცეთ, რაც სამომავლოდ მათი შერჩევის პროცესის დასაწყისია“, - განაცხადა „ბორჯღალოსანთა“ თავკაცმა მილტონ ჰეიგმა.

აქვე საქართველოს ნაკრების შემადგენლობას გააცნობთ: ზურაბ ჟვანია, გიორგი მელიქიძე (ორივე - „სტად ფრანსე“), თორნიკე მატარაძე („ლიონი“), გიორგი ცუცქერიძე, სოსო ბეკოშვილი (ორივე - „ბრივი“), ლაშა ტაბიძე („ბორდო“), ბადრი ალხაზიშვილი („ტულონი“), გიორგი ნემსაძე („პრისტოლი“), ლაშა ლომიძე („ბენიუი“), მერაბ შარიტაძე („ორიაკი“), ბექა გორგაძე („მონ დე მარსანი“), ოთარ გიორგაძე („კლერმონი“), დავით კაჭარავა („ენისეი“), გიორგი ჭყიძე, ნოდარ ჭეიშვილი, გელა აფრასიძე, ლაშა ხმალაძე, ალექსანდრე თოდუა,

მერაბ კვირიკაშვილი (ყველა - „ლელო“), გიორგი თბილიშვილი („ბათუმი“), ანზორ სიჭინავა, საბა შუბითიძე (ორივე - „აკადემია“), გიორგი მჭედლიშვილი („ჯიქი“), გიორგი ბეგაძე („ყოჩები“), ვაჟა ხუციშვილი, ბექა ნიკლაური (ორივე - „ლოკომოტივი“), გიორგი კოშაძე („ხარები“), ბადრი ლიპარტელიანი („არმაზი“), რეზო ჯინჭელაშვილი, გიორგი ფრუიძე (ორივე - „ბაგრატი“).

კალენდარი

11 თებერვალი. ბელგია-საქართველო, გერმანია-რუმინეთი, ესპანეთი-რუსეთი.

18 თებერვალი. რუმინეთი-ესპანეთი, ბელგია-რუსეთი.

19 თებერვალი, საქართველო-გერმანია.

4 მარტი. რუსეთი-გერმანია, გერმანია-ბელგია, ესპანეთი-საქართველო.

11 მარტი. გერმანია-ესპანეთი, ბელგია-რუმინეთი.

12 მარტი. საქართველო-რუსეთი.

18 მარტი. ესპანეთი-ბელგია.

19 მარტი. რუსეთი-გერმანია, რუმინეთი-საქართველო.

11 თებერვალს ბელგიის ნაკრებთან მატჩი თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება. საქართველოს ნაკრები შინ 13 თებერვალს დაბრუნდება და გერმანიის ნაკრებთან სათამაშოდ „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე“ მოემზადება. მატჩი 19 თებერვალს რუსთავეში 15 საათზეა დაგეგმილი.

ლემსო ცინცაძე

❸ ზამთრის სახეობები

ქვესი ქართველი და თურქული მილიონები

წლეულს ევროპის ზამთრის XIII ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თურქეთის საკურორტო ქალაქ ერზურუმში 12-17 თებერვალს გაიმართება. ზამთრის სპორტის 9 სახეობაში (ბიათლონი, თხილამურებით რბოლა, სამთო თხილამურობა, სნოუ-ბორდი, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა, ფიგურული ციგურაობა, ქერლინგი, ყინულის ჰოკეი და შორტ-ტრეკი) მდებარის 39 ქვეყნის 1400-მდე სპორტსმენი იბრძოლებს. მონაწილეთა შორის საქართველოს 6 წარმომადგენელიც იქნება: სამთო მოთხილამურეები - ეკატერინე გოცირიძე (თბილისი), თამარ ბარბარაიანი, ლაშა და გიორგი კურტანიძეები (სამივე - ბაკურიანი), სნოუბორდისტი ბაქარ მუშკუდიანი (მესტია) და ფიგურულად მოციგურავე ნიკა ეგაძე (თბილისი).

ქართველი სამთო მოთხილამურეები - ეკატერინე გოცირიძე, თამარ ბარბარაიანი, ლაშა და გიორგი კურტანიძეები თანატოლთა შორის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები და თასის მფლობელები არიან. შარშან ოქტომბერში სეზონის დაწყებამდე იუნიორთა ნაკრების წევრები - ბარბარაიანი და ლაშა კურტანიძე ავსტრიულ შტუბაიტალსა და ჰინტერტულსში იმყოფებოდნენ სანვრთნელ შეკრებაზე. საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) მხარდაჭერისა და ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განვითარებადი ქვეყნების სათხილამურო ფედერაციებიდან ყოველწლიურად იწვევენ ახალგაზრდა სპორტსმენებს. შარშან ეს პატივი ქართველთაგან თამარსა და ლაშას ერგო.



1997 წელს შედგურ სუნდსვალში ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალებში ფიგურულად მოციგურავე ვახტანგ მურვანიძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. მსგავს შეჯიბრებებში ჩვენებისთვის ეს ერთადერთი ჯილდოა. ერზურუმში საქართველოს 16-კაციან დელეგაციას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი მამუკა საბარელი და გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი უხელმძღვანელებენ. ოლიმპიურ მისიას სეოკის სპორტული დირექტორი გიორგი ესაკია ჩაუდგება სათავეში. თურქეთის მთავრობამ ფესტივალის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის 15 მილიონი ევრო გამოყო, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კი საგანგებო ზომები მიიღო.

დეკემბერში გოცირიძემ, ბარბარაიანმა, ლაშა და გიორგი კურტანიძეებმა ერზურუმში/პალანდუკენში (თურქეთი) იმ ტრასებზე იასპარეზეს, სადაც წლეულს ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება. 8 ქვეყნის 51 სამთომოთხილამურეს შორის ლაშა კურტანიძემ მე-13, გიორგი კურტანიძემ კი მე-15 ადგილი დაიკავა. ქალთა შორის გოცირიძე და ბარბარაიანი, შესაბამისად, მე-10 და მე-12 ადგილებზე გავიდნენ. არადა, კატომ, თამარმა და ლაშამ იუნიორთა შორის პირველად იასპარეზეს. ასპარეზობის მეორე დღეს ლაშამ და თამარმა მეექვსე ადგილები დაიკავეს. ასე რომ, ჩვენმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა ოლიმპიურ ფესტივალზე უნდა გვასახელონ.

ლაშა დიდი

❹ კარაბე

პარიზი უმასპინძლებს

ამ შაბათ-კვირას საფრანგეთის დედაქალაქი კარატისტთა ლია საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. მას შემდეგ, რაც სპორტის ეს სახეობა ოლიმპიური გახდა, მსოფლიოში მას დიდი ყურადღება ექცევა, ამიტომაც პარიზში, სადაც მომავალი ოთხწლიანი ოლიმპიური ციკლის პირველი მნიშვნელობანი შეჯიბრება გაიმართება, უძლიერესი სპორტსმენები მოიყრიან თავს. მედლებისთვის საქართველოს (დელეგაციის ხელმძღვანელი კახა ბასილია, მწვრთნელი მალხაზ ჭუმბურიძე, მსაჯი თათია მელუა) ექვსი წარმომადგენელიც იბრძოლებს. ესენი არიან: გოგონებში - დიანა დარჩიაშვილი (55 კგ), ვაჟებში - დავით ტყეშუჩავა (60 კგ), დავით პატარიძე და ირაკლი ტყეშუჩავა (ორივე - 68 კგ), ჰენრი ვეკუა (74 კგ) და 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გოგიტა არქანია (84 კგ).

თამაზ პატარიძე

❺ კრივი

დებრეცხეში - შესანიშნავი შოიფუულით

22-წლებამდე მოკრივეებს 13-22 მარტს რუმინეთში ევროპის ჩემპიონატი ელით. ამ პირველობისთვის უკეთ მოსამზადებლად 7-12 თებერვალს საქართველოს ნაკრები - ნოდარ დარბაიძე (თბილისი, 49 კგ), არტიომ გომციანი (ახალქალაქი, 56), გიორგი გოგატიშვილი (ფოთი, 60), დავით გორგილაძე (აჭარა, 64), ესკერხან მადიევი (თბილისი, 69), რატი ტლაშაძე (გორი, 81) და გიორგი ჭილაძე (თბილისი, 91) - ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელ შალვა დუნდუას ხელმძღვანელობით დებრეცხის საერთაშორისო ტურნირში მოსიგჯავს ძალებს. ქართველმა მოკრივეებმა ბაკურიანში 12-დღიანი სანვრთნელი შეკრება გა-

იარეს. ახლა ისინი დღეს დარბაზში განაგრძობენ წვრთნას.

გივი ბაგვა



საქართველოს დიდო უკილო!..

ჩვენი „ქართველი რუსის“ ნიკოლოზ ნაფადოვის საიუბილეო საღალოგო


რამდენ კაცს ჩაუვლია ამ ქვეყნის გზა-ბილი-კებზე უკვალოდ, რამდენი მოსულა და წასულა. ზოგისგან არაფერი დარჩენილა, სსოვნა რა არის, სსოვნაც კი წაშლილა, თითქოს არც ყოფილა, არადა, ერთ დროს ვითომ კაცი იყო, ვითომ საქვეყნო საქმეს აკეთებდა. წავიდა და ისე დაიხურა მისი ცხოვრების წიგნი, რომ არავის მოსურვებია გადაშლა და გადაკითხვა.

და ბედნიერია კაცი, რომელმაც სიცოცხლეშივე იცის, „რას იტყვის მასზე შთამომავლობა“, რადგან თანამედროვეთა ფეხდაფეხ იარა შთამომავლობის საკეთილდღეოდ, იცხოვრა, იღვანა, მინასაც დაამჩნია კვალი და ყოფასაც. დიდებულია, რომ კიდევ შემოგვრჩნენ ასეთი კაცები. კიდევ დადიან ამ ქვეყნად, კვლავაც ჩამდგარი არიან ცხოვრების ფერხულში, ვინ მხნედ, ვინ ძაბუნად, მაგრამ რაც მთავარია, ქვეყანას ზურგზე კი არ ჰკიდიათ ტვირთად, არამედ სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არიან დღევანდელობისა.

ნიკოლოზ ნეფედოვის, „ჩვენი ქართველი რუსის“ (როგორც სიყვარულით უწოდებენ) გარეშე წარმოუდგენელია XX საუკუნის მეორე ნახევარი, მთელი ათწლეულებია გაჯერებული მისი კაცური კაცობით. დაიბადა 1932 წლის 28 იანვარს, რუსეთში – პერმში, ნიკოლოზ ნეფედოვისა და ფაცია (ალექსანდრა) ინჯიას ოჯახში. მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლიდან მხოლოდ 2 წელი იცხოვრა რუსეთში (თუ შემდეგ მოსკოვის ჩარხმშენებელი და ინსტრუმენტალური მრეწველობის ინსტიტუტში სწავლის პერიოდს არ ჩავთვლით). დანარჩენი დრო საქართველოდან ფეხი არ მოუცვლია.

ახალგაზრდა ინჟინერ-მექანიკოსის შრომითი გზა 1956 წელს დაიწყო თბილისის ახალშექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „ორგსტამკონპრომის“ ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე. მალე შეამჩნიეს და გამოარჩიეს (კადრების შერჩევის სიზუსტეს კომუნისტებს ვერ დაუკარგავს), პარტიულ სამუშაოზე – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების ინსტრუქტორად და შემდეგ ამავე განყოფილების გამგის მოადგილედ გადაიყვანეს.

ასე დაიწყო და სულ წინსვლით იარა; 1971-1979 წ.წ. – თბილისის კიროვის პარტრიაკომის პირველი მდივანი. 1979-1983 წ.წ. – თბილისის მერის პირველი მოადგილე. 1983-1988 წ.წ. – საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი. 1988-1990 წ.წ. – გაერთიანებული საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი. 1991 წლიდან სამინისტროების რეორგანიზაციის შემდეგ კერძო სტრუქტურებში იღვანა.



დიდი სამეგობროდან დღეს ბევრი აღარ არის: კედელზე ფოტოვებად შემორჩნენ დევი სტურუა, ალექო ჩხეიძე, ნოდარ დუმბაძე, რამაზ და ნატაშა ჩხიკვაძეები, ოთარ ხატიაშვილი, ბიძინა კვერნაძე, გიორგი გადელია, გურამ გაბუნია, თენგიზ მენთეშაშვილი, გოგი ანდრონიკაშვილი... აღარ არის ჯიმი მიქელაძე, მისი მძახალი და უახლოესი ადამიანი, საყვარელი რძლის მარიკას მამა, საფიცარი შვილიშვილების ნიკასა და ლიზიკოს ბაბუა. მაგრამ მადლობა ღმერთს, „ჯერ კიდევ არის დენთი საპირისწამლეში“ – ჯანმრთელნი არიან მისი თანატოლი თუ მასზე უმცროსი მეგობრები: ადერკინ კოპლატაძე, ირაკლი ჟორდანიძე, თამაზ შილაკაძე, როინ მეტრეველი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვალერი ასათიანი, ავთანდილ საყვარელიძე, დემურ მიქაძე, ზორის სარალიძე, კახი კავსაძე და სხვები. დღეს სიყვარულით მოიკითხავენ და 85 წლის იუბილეს მიულოცავენ. **ჯანსუღ ჩარკვიანმა** აკი უკვე ლექსადაც მიულოცა და გაახარა:

85 წლის კოლია ნაფადოვს

გულში საქართველოს მზე გყავს,
მზესაც შენი მადლი მოსდის,
მიხარია, რომ ხარ ქვეყნად,
საქართველოს პატრიოტი.
რაინდი ხარ, მამაცი ხარ,
ესეც ბედი ჩვენი ერის,
შენ ხომ ჩვენი ძმაცაი ხარ,
ცოლ-შვილიც გყავს მშვენიერი.
მე რომ მინდა, იმ ბედის ხარ,
ცის არწივო, ფრთაგაშლილო,
შენი ძმობის იმედი მაქვს,
საქართველოს დიდო შვილო!

მს ბედნიერი თბილისური ოჯახია. ბატონ ნიკოლოზსა და მის სათანო მეუღლეს რიმა ამქესლავსკაია-ნეფედოვას სამი შვილი, 6 შვილიშვილი და 4 ბაძიში ჰყავთ.

სიხარული და ბედნიერება არ მოჰვლებოდეს, საქართველოს კი უმრავლეს ასეთი „ქართველი რუსი“ ოჯახი.

სანდრო ალექსიძე



სიხლე მატარებლით მგზავრობის დროს

საძარტველო რკინიგზის მატარებლებში ბიბლიოთეკები მოეწყობა. მატარებლით სწრაფი და კომფორტული მგზავრობა კიდევ უფრო სასიამოვნო გახდება, რადგან მგზავრებს ექნებათ საშუალება, მათთვის საინტერესო წიგნები წაიკითხონ.

მატარებლის ბიბლიოთეკებისთვის წიგნების შეგროვება მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო; ქუთაისი, ბათუმი, ოზურგეთი, ეს ის რკინიგზის სადგურებია, სადაც მოხალისეებმა, ავტორებმა და გამომცემლობებმა მატარებლის ბიბლიოთეკისთვის წიგნები მიიტანეს, პროექტში აქტიურად ჩაერთო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც ბიბლიოთეკებს მოამარაგებს და მგზავრებს შესთავაზებს სხვადასხვა სახის ლიტერატურას. შეიქმნება ელექტრონული ბაზა და საძიებო სისტემა, რომლის საშუალებით მგზავრი ადვილად აირჩევს სასურველ წიგნს მგზავრობისას. საქართველოს რკინიგზა ბევრ სიახლეს და სიურპრიზს მომავალშიც გპირდებათ და გისურვებთ ბედნიერ და სასიამოვნო მგზავრობას.

სოციალურად დაუცველი მოსახლეებისთვის შუშის ღარიბებსა ბანაბრობა

შაპის რაიონში შუშის დარიგება გრძელდება. დღეს შუშა წყნეთში მცხოვრებმა სოციალურად დაუცველმა ადამიანებმა, კერძოდ 20-ზე მეტმა ოჯახმა უკვე მიიღო. მერიის ინფორმაციით, პროცესში ვაკის რაიონის გამგებელი ნოდარ ტურძელაძე მონაწილეობდა. ადგილობრივი მოსახლეობის შემთხვევითი უზრუნველყოფა გაგრძელდება.

ამ ეტაპზე წყნეთის მასშტაბით 200 კუბური მეტრი შუშა დარიგდება. საერთო ჯამში ვაკის რაიონში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის ამ დროისთვის 500 კუბური მეტრი შუშა გამოყოფილი, რაც 250 ოჯახზე გადანაწილდება.



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ტანმაზ ტანმაზოვის, აიბანიზ ტანმაზოვას და ვუგარ ტანმაზოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ტანმაზ ტანმაზოვი (პ/ნ 28001019851), მარნეული რ-ნი, სოფელი კურტლიარი; უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: მარნეული რ-ნი, სოფელი ქუთლიარი (საკადასტრო კოდი: 83.07.03.568). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გარდამავალი იპოთეკის უფლება, რომლის ღირებულება შეადგენს 0 ლარს.
2. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ვუგარ ტანმაზოვი (პ/ნ 28001041493), მარნეული რ-ნი, სოფელი კურტლიარი; უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: მარნეული რ-ნი, კურტლიარის საკრებულო, სოფელი კურტლიარი (საკადასტრო კოდი: 83.07.10.083). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
3. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ვუგარ ტანმაზოვი (პ/ნ 28001041493), მარნეული რ-ნი, სოფელი კურტლიარი; უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: მარნეული რ-ნი, კურტლიარის საკრებულო, სოფელი კურტლიარი (საკადასტრო კოდი: 83.07.10.085). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
4. უძრავი ნივთის მესაკუთრე: აიბანიზ ტანმაზოვა (პ/ნ 28001019852), მარნეული რ-ნი, სოფელი კურტლიარი; უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: მარნეული რ-ნი, კურტლიარის საკრებულო, სოფელი კურტლიარი (საკადასტრო კოდი: 83.07.10.084). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

5. უძრავი ნივთის მესაკუთრე: აიბანიზ ტანმაზოვა (პ/ნ 28001019852), მარნეული რ-ნი, სოფელი კურტლიარი; უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: მარნეული რ-ნი, კურტლიარის საკრებულო, სოფელი კურტლიარი (საკადასტრო კოდი: 83.07.10.087). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
6. უძრავი ნივთების საწყისი ფასი: 13738.04 ლარი.
7. უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა: უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;
8. აუქციონის დაწყების დრო: 2017 წლის 14 თებერვალი, 17:00 საათი;
9. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
10. მოვალე: ტანმაზ ტანმაზოვი (პ/ნ 28001019851), მარნეული რ-ნი, სოფელი კურტლიარი; ვუგარ ტანმაზოვი (პ/ნ 28001041493), მარნეული რ-ნი, სოფელი კურტლიარი; აიბანიზ ტანმაზოვა (პ/ნ 28001019852), მარნეული რ-ნი, სოფელი კურტლიარი.
11. აუქციონის ჩამტარებული სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
12. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ. ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამატარებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 14 თებერვლის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მასშტაბი ოლლი შამისტანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: მასშტაბი ოლლი შამისტანი (პ/ნ 36001024920), საგარეჯოს რაიონი, სოფელი თულარი.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
საგარეჯოს რაიონი, სოფელი თულარი (საკადასტრო კოდი: 55.03.54.068).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 16384.25 ლარი;
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2017 წლის 30 იანვარი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2017 წლის 15 თებერვალი, 15:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
- 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP39885516;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 398855
6. მოვალე: მასშტაბი ოლლი შამისტანი (პ/ნ 36001024920), საგარეჯოს რაიონი, სოფელი თულარი;
კალეპ მირზაი (პ/ნ 36001015858), საგარეჯოს რაიონი, სოფელი კაზლარი;
პაბილა ღვინიაშვილი (პ/ნ 08001021221), ახმეტა, სოფელი კასრისწყალი.
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP39885516; ლოტის ნომერი: 398855).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 14 თებერვლის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს დავით მაჩიტაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: დავით მაჩიტაძე (პ/ნ 60001060000), ქუთაისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №111.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქუთაისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №111 (საკადასტრო კოდი: 03.02.01.368).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 7183.05 ლარი;
3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2017 წლის 30 იანვარი, 14:00 საათი.
4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2017 წლის 15 თებერვალი, 15:00 საათი.
5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
- 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP39886516;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 398865
6. მოვალე: შპს „ნია“ (ს/კ 412704907), ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. №7, ბინა №7;
ოთარ მიქაბერიძე (პ/ნ 6000107992), ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. №7, ბინა №7;
ვლადიმერ კლდიაშვილი (პ/ნ 60001108821), ქუთაისი, ახალგაზრდობის მე-7 შეს., №74;
კახაბერ მაჩიტაძე (პ/ნ 60001055555), ქუთაისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №111.
7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი 17თ 1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP39886516; ლოტის ნომერი: 398865).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 14 თებერვლის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3

სანთელი

რუსუდან ჯანაშია

2017 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, შესანიშნავი ადამიანი და სანიმუშო მოქალაქე რუსუდან ჯანაშია. იგი იყო არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და, საერთოდ, ქართველი საზოგადოების გამორჩეული წევრი, რომელიც გარეგნობითა თუ შინაგანი ბუნებით წარმოაჩენდა ქართველი ქალის საუკეთესო თვისებებს.

რუსუდან ჯანაშია დაიბადა 1937 წლის 17 აგვისტოს თბილისში. გამორჩეული იყო ის ოჯახური გარემო, რომელშიც იგი იზრდებოდა: მამა – სიმონ ჯანაშია – გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, დედა – ქალბატონი მართა – მაჩაბელთა სახელოვანი გვარის ღირსეული წარმომადგენელი, ბებია – ელენე მუჯირი – გონიერი და გამრჯე ადამიანი... ინტელექტითა და კეთილშობილებით გამორჩეულმა ოჯახმა, ქართველი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებმა, რომლებიც ამ ოჯახთან იყვნენ დაკავშირებული, ჩამოაყალიბეს რუსუდან ჯანაშია როგორც პიროვნება და მოქალაქე. 10 წლისა იყო რუსუდანი, როდესაც მამა დაკარგა. დაობლებულ ბავშვს ყურადღებას არ აკლენდნენ არც. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე და ჯანაშიების ოჯახთან დაახლოებული სხვა ცნობილი ადამიანები...

თბილისის 54-ე ქალთა სკოლის დამთავრების შემდეგ, 1955 წელს რ. ჯანაშია ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის კავკასიურ ენათა განყოფილება წარჩინებით დაასრულა 1960 წელს. იმავე წლის დეკემბერში მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში უფროს ლაბორანტად. შემდეგ ის მუშაობდა უმცროსი და უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე.

ინსტიტუტში მუშაობის 50 წლის მანძილზე რუსუდან ჯანაშიამ თავი გამოიჩინა როგორც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტმა და არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი შესძინა იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას. დისერტაცია 1977 წელს დაიცვა თემაზე „რიცხვითი სახელები აფხაზურ-ადიღურ ენებში“ (ხელმძღვანელი – აკად. ქ. ლომთათიძე). ფრიად საყურადღებოა რ. ჯანაშიას ნაშრომები აფხაზურისა და მისი ახლომონათესავე ჩერქეზული და უზბეკური ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე, კერძოდ, გამოკვლევა აფხაზური სახარების ენის შესახებ, გრამატიკული კლასის ექსპონენტების თაობაზე უზბეკური ენის ბრუნების სისტემისა და პრევერების შესახებ...

რ. ჯანაშია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივ, კავკასიის რეგი-



ონისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, რ. ჯანაშია პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მიჰყავდა აფხაზური და უზბეკური ენების კურსები. მისი უზბეკური ენის სახელმძღვანელო საყოველთაო მოწონებას იმსახურებს.

რ. ჯანაშიამ ქართულად თარგმნა უცხოელი სპეციალისტების ნაშრომები იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თარგმანი გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის, აკადემიკოს ჟორჟ დიუმენილის ნაშრომისა „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში“, რომელიც 2015 წელს დაიბეჭდა.

ცალკე გამოსაყოფია ის დიდი შრომა, რაც რ. ჯანაშიამ გასწავა აკად. ს. ჯანაშიას შრომების III და IV ტომების განმოსაცემად მომზადების საქმეში. საყურადღებოა ასევე მისი მონაწილეობით მომზადებული და 2007 წელს რუსულად გამოცემული ს. ჯანაშიას შრომების კრებული, რომელიც ჩერქეზეთის ეძღვნება.

რ. ჯანაშია იყო გონიერი, კეთილშობილი, გულთბილი და ერთგული ადამიანი, ერთგული ოჯახისა, მეგობრებისა, მეცნიერებისა, ქვეყნისა. მას დამსახურებული ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა მოპოვებული როგორც ქართველ და აფხაზ, ისე ჩრდილოეთკავკასიელ კოლეგებში.

წავიდა ჩვენგან გამორჩეული პიროვნება, რომელმაც ღირსეულად განვლო ცხოვრების გზა და მნიშვნელოვანი კვალიც დატოვა. მისი სახელი დაუფინყარია ახლობლებისათვის, მეგობრებისათვის, კოლეგებისათვის, ქართველი საზოგადოებისათვის.

არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმად მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ საზოგადოების ერთგული მეგობარი, თვალსაჩინო ქართველი ენათმეცნიერი, ჯანაშიების სახელოვანი ოჯახის ღირსეული შთამომავალი, ნათელი პიროვნება

რუსუდან ჯანაშია

და თანაუგრძნობს ოჯახს.

სანთელი

ალკაზარ (ალეკო) კაკულია



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მშენებელი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს საენციკლოპედო-საგამომცემლო ფონდის თავმჯდომარე, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი ალკაზარ (ალეკო) კაკულია.

იგი დაიბადა 1937 წლის 29 ივნისს ქ. ფოთში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით.

შრომითი საქმიანობა დაიწყო რიგით მშენებელ-ოსტატის თანამდებობიდან და მიაღწია საქართველოს სასოფლო-მშენებლობის მინისტრის მოადგილის თანამდებობამდე. მუშაობდა საქართველოს კომკავშირისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების აპარატში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

იყო არჩეული საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლმშენკომპლექსის“ თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო შემდეგ შპს „საქსოფლმშენკომპლექსის“ თავმჯდომარედ.

1965 წლიდან ხელმძღვანელობდა საქართველო-ჩეხეთის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის საზოგადოებას; იყო ქართული ფესბურთის განვითარებისა და აღორძინების ფონდის პრეზიდენტი, ყოველთვიური გაზეთი „აღმშენებლობის მემკვიდრე“ მთავარი რედაქტორი.

იგი ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. შესანიშნავად იცოდა ჩეხური ენა, მრავალი ნაწარმოები აქვს ჩეხურიდან ნათარგმნი, წერდა ლექსებს. მისი დის, ცნობილი მომღერლის ეთერ კაკულიას სიმღერების ნახევარზე მეტი ბატონ ალექსოს ტექსტებზეა შექმნილი.

დააკლდა ქალაქს, ოჯახს და მეგობრებს შესანიშნავი პიროვნება, პატრიოტი და მოქალაქე. სამწუხაროა, რომ ვერ მოესწრო მისი დაუღალავი შრომის ნაყოფის – ენციკლოპედიის გამოცემას.

მისი ნათელი ხსოვნა მარად იქნება მის კოლეგებსა და მეგობრებში.

საქართველოს არქიტექტურა და მშენებლობა
საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდი;
საქართველოს არქიტექტურა და მშენებლობა
ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგია;
ნოდარ მამარიაშვილი, მირაზ ნიკოლაიშვილი,
ვაჟა ნადირაშვილი, დავით დოლონაძე,
გიორგი ავსაჯანიშვილი, გიორგი სალუშვაძე,
ომარბეი ძიკაშვილი

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულაია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი ღრმა მწუხარებით იუნყებთან, რომ გარდაიცვალა ქართველი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ჩვენი დედაქალაქის კოლორიტი, უკეთილშობილესი პიროვნება, ბატონი

ალკაზარ კაკულია

და თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს, ქალბატონ ნინო ბეჟიტაშვილსა და ოჯახის წევრებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები იუნყებთან, რომ გარდაიცვალა პროფესორ ნინო ბეჟიტაშვილის მეუღლე

ალკაზარ კაკულია

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.



ბიძაშვილები მამული, დოდო, ლალი, ლია ჩაჩავები, ბიძაშვილის შვილები ნინო, მკა ჩაჩავები, ოთარ, ნინო ფირცხალაშვილები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ალკაზარ (ალეკო) კაკულიას

გარდაცვალების გამო.

ნოდარ, ნანა ტყეშელაშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუნყებთან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ადამიანი

ალეკო კაკულია

გამორჩეული პიროვნება, სამო-სამეგობროში აღიარებული კაცი, არაჩვეულებრივი მეოჯახე, შვილებისა და შვილიშვილების პატრონი, შესანიშნავი პროფესიონალი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მისთვის საფიქარი სამშობლოს აღმშენებლობის საქმეში და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

ვაჟა აზარაშვილი, მანანა დანგაძე-აზარაშვილისა ღრმა მწუხარებით იუნყებიან ქართველი პოეტის, მთარგმნელის, საზოგადო მოღვაწის, ძვირფასი მეგობრის

ალეკო კაკულიას

გარდაცვალებას და გთავაზობთ ერთ დაუვინყარ კადრს.

ფოტოგალერეა

ეთერ კაკულია, ალექო კაკულია, ნიკო ჯაფარიშვილი და ვაჟა აზარაშვილი ალექოს ტექსტზე შექმნილ სიმღერა „ჩემო სამეგრელოზე“ მუშაობის დროს. ბატონ ვაჟა აზარაშვილის მუსიკაზე შექმნილი ეს შესანიშნავი სიმღერა შეასრულეს ეთერ კაკულიამ და ნიკო ჯაფარიშვილმა.



ერთგულბასა და სიყვარულში დაფარული

გარდაიცვალა ჩვენი ალექო კაკულია, კაცი ყველასგან გამორჩეული, დამსახურებული ინჟინერი, შესანიშნავი პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, მრავალმხრივი ნიჭითა და უნარით შემკობილი ადამიანი, ერთგული მეგობარი და ნაღდი პატრიოტი. ჩვენი გაზეთის ერთგული ავტორი, ბოლო ხანს



უკურნებელი სენით შეპყრობილი მაინც მოგვიკითხავდა, უდროოდ გარდაცვლილი მეგობრის ან ახლობლის გამოსათხოვარს მოიტანდა და სევდიანად დაამატებდა – „რა ხალხი მიდი-სო“. ახლა თავად შეუერთდა იმ თანამოაზრეების ლაშქარს...

მართლაც, რამდენი კარგი ვაჟაკი მოკვდა, იმაზე კარგი ვინ უნდა მოკვდეს... თავადაც იცოდა, რომ მძიმე სენმა დარია ხელი, მისი სათაყვანებელი დის, მართლაც სახალხო მომღერლის ეთერ კაკულიას გარდაცვალებამ კიდევ უფრო შეუმცირა სიცოცხლის დღენი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!
„საქართველოს რესპუბლიკის“
ქურონალისტი

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ანზორ მაისურაძე, გურამ გუნავა, ბაკურ გულუა, ნუგზარ ნადარაია, მელიორ ტყეშელაშვილი, ზურაბ ერქვანია, გრიშა შონია, ჯემალ ბერიძე, დემურ მიქაძე, თამაზ გაფრინდაშვილი, გერონტი კუხალაიშვილი, ზურაბ მაჩაიძე, ოთარ ჭითანავა იუნყებთან, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, უშესანიშნავესი პიროვნება, ქალაქის კოლორიტი

ალკაზარ (ალეკო) კაკულია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, ნუგზარ რუხაძე, თენგიზ კალანდიაძე, პეტრე ბერაია, თამაზ დაუშვილი, გეგუ მუშკუდიანი თანაუგრძნობენ მედეა ჩიკვაძეს, ელიზბარ ლომინაძეს, სულხან ლომინაძეს დედის, სიდედრისა და ბებულის

ელეონორა (კუკურა)

ვაჟაქიძე-კაჭკაჭიშვილის

გარდაცვალების გამო.

მარინა კანდელაკი, სპარტაკ ქობულაია, გურამ გოგიაშვილი, ალექო ასლანიშვილი, სამძიმარს უცხადებენ მედეა ჩიკვაძეს, ელიზბარ ლომინაძეს და სულხან ლომინაძეს დედის, სიდედრისა და ბებულის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ელეონორა (კუკურა)

ვაჟაქიძე-კაჭკაჭიშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქცია

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

		სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძველის მიმდებარე ტერიტორია, „ძველი“-ს თიხის (სამშენებლო) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 69 100 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძველის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	8 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 30 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 3		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შესარულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასის მქონე ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „რუსთავი“-ს ტექნოგენური დანაგროვი (ლორდი), კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 35 100 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	8 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 30 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის	5 წელი

საქართველოს ჩესპუბლიკი

13

14 საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს ჩესპუგლიკი

საქართველოს ჩესპუბლიკი

15

16 საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს ჩესპუბლიკი

17

		ე) ლუქის დადგება და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად საათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვეშის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 4000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვეშის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	129 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	12,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	265 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 30 იანვარს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 28 თებერვალს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №18		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მოშობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადგებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების ადების საშუალება; ე) ლუქის დადგება და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა, შემოღობვა და ტერიტორიის დასუფთავება. ზ) იმ შემთხვევაში თუ საშუალობის დაწყების დროს აღმოჩნდა სს „სილქნეტი“-ს აშენებული ხაზოვანი ნაგებობა, შეჩერებული იქნას სამუშაოები და შესაბამისი განცხადების საფუძველზე უნდა მოხდეს განმეორებითი შეთანხმება. სამუშაოების დაწყების წინ აუცილებლად გამოძახებულ იქნას სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელი. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად საათვისებელი მოცულობის მითითებით).

საქართველოს ჩესპუბლიკი

19

ლეონარდო შენგელიას ტკივილიანი მონატრება

29 იანვარს ერთი წელი შესრულდება, რაც ბარდბატონმა ცნობილი მხატვარი, თხაშეთის ტარაზაშვილი ლეონარდო შენგელია.

მისმა საიმედოვანო გამგზავრებამ დიდი ტკივილი მიიყენა არა მარტო ოჯახს, სახლობლოსა თუ მეგობრებს, არამედ ყველა იმთავანს, ვინც ცოტათი მაინც თუ იცნობდა, ამ მართლაცდა, საუკეთესო თვისებებით გამოირჩეულ ადამიანს.

ასეთი გამოთქმა არსებობს — მეცხრამეტე საუკუნის ინტელიგენციის ტიპი... ბატონი ლეონარდოს კეთილშობილური შესახებდაობა და საქციელი, სწორედამც რომ, წაგავდა მეცხრამეტე საუკუნის ქართველ სამოციანელს; თავისი ნოვატორული იდეებით თავადაც სამოციანელი გახლდათ, ოღონდ — მეოცე საუკუნისა.

ლეონარდო შენგელია ქართველ შემოქმედთა იმ პლუადას განეკუთვნება, სამოციანელებს რომ ეძახიან. ისინი — მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები — ცდილობდნენ, საბჭოურ სინამდვილეს გაჰქცეოდნენ და ერის მესხიერებაზე დაყრდნობილი ცოდნით თავისუფლად და ახლებურად წარმოეჩინათ თავიანთი შემოქმედება.

ბატონი ლეონარდოც ყოველთვის ცდილობდა, თავის შემოქმედებაში ერის სულიერი სახე გამოეხატა მისი ტკივილითა და სიხარულით, დრამატიზმისა და ფერისცვალების შეგრძნებით. გამოსახვის იარაღს შეუმცდარად ფლობდა, საუკუნეებში გამოწერბილი ცოდნით... ფართოა მისი შემოქმედებითი არეალი:

დაზგური გრაფიკა, წიგნის გრაფიკული დიზაინი, ილუსტრაცია, ფერწერა, მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება, გობელენი, ტიხრული მინანქარი, ქანდაკება, ქედურობა...

შეიძლება ითქვას, მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების ერთ-ერთი პიონერთაგანია და ამ საქმის ნამდვილი დიდოსტატი. სხვადასხვა ქვეყნის მრავალ ქალაქში მიმოზნეული მისი მოზაიკური პანოები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მხატვრულზე;

...თუნდაც, ახალი ათონის მოზაიკური პანო რად ღირს...

ქართული კედლის მხატვრობის ტრადიციების კარგად მცოდნე საგულდაგულოდ შეისწავლა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ეპოსი და აფხაზთა გასახარად და საამაყოდ, ისე წარმოაჩინა მათი აბრსკილი, ანუ ამირანი, და ისეთი კომპოზიცია შექმნა, რომ ამ დიდებული პანოს შემქმნელი სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდებაზე წარადგინეს...

მისი შემოქმედების შესახებ ქართულსა თუ უცხოურ ჟურნალ-

გაზეთებში ხშირად ქვეყნდებოდა დადებითი რეცენზიები.

ლეონარდო შენგელიას ბიოგრაფია და შემოქმედებითი მიმოხილვა შეტანილია ენციკლოპედიურ თუ ხელოვნების ისტორიის გამოცემებში.

მისი ნამუშევრები საქართველოს გარდა დაცულია სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში...

მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის — ღირსების ორდენიც...

იყო მხატვართა კავშირის მდივანი, გამგეობის წევრი და მონუმენტური სექციის თავმჯდომარე. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მხატვართა კომბინატის სამხატვრო საბჭოს, ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას...

იყო ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და სამხატვრო რედაქტორი.

ლეონარდო შენგელიას შემოქმედებაში მშვენიერ ქართველ ქალთა სახეები საოცრად გვანან მის მუელვანს — მხატვრის მუზას, ცნობილ გრაფიკოსს — ცინარა ტერეშაძეს, ვისთან ერთადაც შექმნა დიდი და ღირსეული ოჯახი. ამ ოჯახში, რომელშიც ხელოვნება ბატონობს, კეთილშობილური ნორმები სრულად არის დაცული — მათ შემხედვარეს გაგიხარდება, რომ, ქართველი ხარ!

ბატონი ლეონარდო ბუნებით მაძიებელი კაცი, ძალიან ბევრს კითხულობდა; ასეთებზე იტყვიან — ენციკლოპედიური ცოდნა აქვსო... და ამ ცოდნის უშურველად გამმეტი გახლდათ. ისე გაგამდიდრებდა ცოდნით, ისეთ ცნობის წაღილს გაგიღვივებდა, შენც მოგინდებოდა წაგვეცხადე ესა თუ ის წიგნი, გენახა ესა თუ ის ფილმი, სპექტაკლი... რაღაც კარგი და სასარგებლო გაგეკეთებინა...

ეროვნული ტკივილის ძირისძირობამდე მოზიარეს ეს ტკივილი უდრტივებლად თან დაჰქონდა. არ არის ხამალაღალი ნათქვამი — ასეთები თავიანთი შემოქმედებითა და ცხოვრების წესით დროის მატინეს თავისებურად ქმნიან — წარსულისა და აწმყოს გონივრული თვალთი განმჭვრეტნი მომავალსაც ნათლად ჭვრეტენ.

ჩვენ — მისი ახლობლები, მეგობრები, თანამშრომლები კარგად ვაცნობიერებთ, თუ როგორი სასიკეთო კვალი დატოვა ჩვენს ცხოვრებაზე ამ ღვთისნიერმა ადამიანმა.

როგორ გვჭირდება ასეთნი — ნამდვილი ინტელიგენტები, თავისი ნამდვილი მნიშვნელობით, რომ ღირსეულ ქართველებს ძალა შეჰმატონ და პატიოსნად ცხოვრება გაუადვილონ...

მეგობრები



2019: „წინანდლის ფსტივალის“ მოლოდინი

სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობით „წინანდლის ფსტივალის“ ფუძნდება.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მაღალი ხარისხის კლასიკური მუსიკის მასშტაბური ფესტივალის დაარსების შესახებ, „სილქ როუდ ჯგუფსა“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ადმინისტრაციას შორის, გუშინ მემორანდუმი გაფორმდა. ხელმოწერამდე კომპანიის წარმომადგენლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი შეხვდა.

როგორც შეხვედრისას აღინიშნა, ფესტივალის ჩასატარებლად, წინანდალში, 900 სტუმარზე გათვლილი მუსიკალური დარბაზის, 60-ნომრიანი სასტუმროს, ღია ამფითეატრის, ბიბლიოთეკის, საკონფერენციო დარბაზებისა და მულტიფუნქციური სივრცეების აშენება იგეგმება.

პროექტი, წინანდალში, მუსიკალურ ფესტივალთან ერთად, საერთაშორისო მუსიკალური აკადემიის დაარსებასაც გულისხმობს, რომლის ფარგლებში 60-კაციანი ახალგაზრდული ორკესტრი ჩამოყალიბდება. ახალგაზრდებთან, რომ-

ლებიც, ამავდროულად, ფესტივალის საკონცერტო პროგრამებში მიიღებენ მონაწილეობას, მსოფლიოს წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები და შემსრულებლები იმუშავენ.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობით მსგავსი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, ხელს შეუწყობს როგორც ტურიზმისა და სერვისების განვითარებას, ისე რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ახალგაზრდა, ნიჭიერ მუსიკოსებს წარმატების მიღწევის შესაძლებლობას მისცემს.


პროექტს აქვს უდიდესი პოტენციალი, წინანდალი კლასიკური მუსიკის რეგიონულ ცენტრად გადაიქცევა. მუსიკალური ფესტივალისა და აკადემიის დაარსება მნიშვნელოვანია, როგორც საგანმანათლებლო, სახელოვნებო, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულებით — მიიჩნევენ ისრაელის სიმფონიური ორკესტრის გენერალური დირექტორი ავი შოშანი.

„წინანდლის ფესტივალი“ 2019 წლიდან დაიწყება და ყოველწლიურად გაიმართება.

© მერნისაში

ლითონის აქვარაზული ხელოვნება

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზი ქართველ ხელოვანთა ჯგუფურ გამოფენას მასპინძლობს. მალხაზ ბარბაქაძის, დავით მონოვარდი-საშვილის, ერეკლე წულაძის, დავით ბაშარულის, ზეზა საღლიანის, თამარ ბახტაძის 150-მდე განსხვავებული ჟანრისა და თემატიკის ნამუშევრების ხილვისას მართლაც ვერ დამალავთ აღტაცებას. თამამად შეიძლება ითქვას, თუ უმეტეს ექსპონატებზე ვიმსჯელებთ, რომ ლითონში ამღერებულ ხელოვნებასთან გვაქვს საქმე. გარდა ტრადიციული, უძველესი ხერხით ლითონის მხატვრულად დამუშავების ხელოვნებისა, აქ ხეზე ნაკვეთებსა და გამოფენის ერთადერთი მონაწილე ქალბატონის თამარ ბახტაძის უშესანიშნავეს ყაბალახებსა და ნაჭრისაგან დამზადებულ ექსპონატებსაც იხილავთ.



თითოეული ავტორი საინტერესო ხედვითა და შესრულების ორიგინალური მანერით გამოირჩევა.

გამოფენა 9 თებერვლამდე გასტანს.

ელგუჯა ნადარეიშვილი
ავტორის ფოტო

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
REPUBLIKA

სულხან-საბაძე ქ. №3

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ქოშულია

293-13-34

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გომიშვილი

599 53-76-16;

ალექო

ასლანიშვილი

599 56-81-86;

რუსლან რუსია

599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაძიძე

514 33-33-24

გამომცემლობა:

შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა

„კოლორში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)

ს-323

ISSN 2233-3851



9 772233 1385001

ავტორთა

საგურადლეობა!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს
რესპუბლიკა“
შენი გაზეთია,
აუსილებლად
ნაიკითხა!



რეკლამის პაუზის კარგი:

აშუ დოლატი - 2.70; პერო - 2.89;

ბრეტანული ბიკაპანა სტარლინი - 3.40;

100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.7;

აზერბაიჯანული მანათი - 1.4;

1000 სომხური დრამი - 5.55

აიონი 28 იანვარსთვის

ალმონაგვითი საპარტოვო:

ბარი - ღამე -7, ღამე +3

პოინი რაიონები - ღამე -10, ღამე -1

დასავლეთი საპარტოვო:

ბარი - ღამე -4, ღამე +3

პოინი რაიონები - ღამე -10, ღამე 0

თბილისი: ღამე -2, ღამე +1

დაგვიკავით,

მოგვწერით:

ტელ: 293-13-34, 599-79-76-79

WWW.SAKRESP.GE